პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 156 (9932) | შაბათი, 3 ივლისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ურხო კეკონენი (1-ლი გვერდი).

საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობა (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის ყრილობა (1-ლი გვერდი).

მთელი ძალები დავრაზმოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილების წარმატებით განხორციელებისათვის (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი ტანკერ „ტუაფსეს“ მოტაცებასთან დაკავშირებით (მე-3 გვერდი).

ვ. გაგუა. — მაყურებელს მეტი მაღალხარისხოვანი ფილმები ჟურნალები (მე-3 გვერდი).

ვ. გურგენიძე. — ყურადღება სოფლის ბიბლიოთეკებს (მე-3 გვერდი).

ო. ნოორაძე. — კაპიტალისტური სამყარო ამერიკის სამხედრო ბაზების ქსელში (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

პოლიტიკური აგიტაცია მოსავლის აღების დღეებში

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. გასულ წელთან შედარებით გადიდდა ნათესი ფართობი, უფრო მაღალხარისხოვნად და უკეთეს აგროტექნიკურ ვადებში შესრულდა საგაზაფხულო სამუშაოები, გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-დამუშავება. კოლმეურნეთა თავდადებული, მაღალნაყოფიერი შრომის შედეგად საკოლმეურნეო მინდვრებში დამწიფდა უხვი, ხარაჩაანი მოსავალი. წარმატებით მიმდინარეობს ზუნეზრივი და ნათესი ბალახების თიბვა, დაიწყო მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება.

ამ სამუშაოთა შესრულებაში საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს აღაფრთოვანებს და ახალ ძალას მატებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება, რომლითაც დასახულია სოფლის მეურნეობის აღმავლობის საარსებო და გადაუდებელი ამოცანები.

ცნობილია, რომ მოსავლის აღება ყველაზე პასუხსაგები საქმეა მარცვლეულის მეურნეობაში. იგი სეზონური სამუშაოა და დაცდა არ უყვარს. ამიტომ აუცილებელია მობილიზაცია გავუკეთოთ ყველა ძალებს, ჩვენს ხელთ არსებულ ყველა საშუალებებს, მაქსიმალური ნაყოფიერებით გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის. წარმატებანი მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების საქმეში დიდად არის დამოკიდებული პარტიული ორგანიზაციების მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაზე.

სასოფლო პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ახლებურად მოწყობამ უზრუნველყო ადგილებზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება. რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა ენერგიულად გააჩაღეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის. ამ მხრივ საყურადღებოა წითელწყაროს რაიონის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც მტკიცე გეგმით მიმდინარეობს. რაიონის კოლმეურნეობებში სისტემატურად იმართება ლექციები და მოხსენებები, ეწყობა აგიტბრიგადების გამოსვლები და კინოსურათების ჩვენება, გამოდის კედლის და საველე გაზეთები, უზრუნველყოფილია ჟურნალ-გაზეთების დროულად მიწოდება. აგიტატორებისათვის ხშირად იმართება საინსტრუქტაჟო თათბირები და სხვ. შირაქის მტს-ის სახელოსნოსა და სატრაქტორო ბრიგადებში აგიტატორები ნ. ნატროშვილი, ი. ჯიყაშვილი, ა. წიკლაური და სხვები საუბრებს აწყობენ ცოცხლად, საინტერესოდ, ამ საუბრებს მჭიდროდ უკავშირებენ მექანიზატორთა წინაშე მდგომ ამოცანებს, ხელს უწყობენ სოციალისტური შეჯიბრების გაძლიერებას, მექანიზატორთა შრომითი აქტივობის ამაღლებას. აგიტატორებს დიდი წვლილი მიუძღვით იმაში, რომ შირაქის მტს-ის მექანიზატორებმა ხარისხიანად შეაკეთეს იარაღმანქანები, კომბაინებზე მოაწყეს ჩაწოლილი ყანის ასაღები მოწყობილობა და მარცვალმჭერები, გააჩაღეს თავდადებული მუშაობა მთელ ნათეს ფართობზე მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში ასაღებად.

სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა კარგად არის მოწყობილი ამავე რაიონის ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაშიც. მინდვრად, საწარმოო ბრიგადებში აგიტატორები რეგულარულად აწყობენ საუბრებს, კოლმეურნეებს აცნობენ უხვი მოსავლის ოსტატების მოწინავე გამოცდილებას, უშვებენ საველე ფურცლებს. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებამ ხელი შეუწყო კოლმეურნეთა შეგნებულობის ამაღლებას, კოლმეურნეობის მთელი საქმიანობის გაუმჯობესებას. მართლაც, კოლმეურნეობაში კარგად არის მოვლილი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, დამთავრდა თიბვა, გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით ჩადებულია სილოსი, წარმატებით დაიწყო მარცვლეული კულტურების მკა და ლეწვა.

სამწუხაროდ, სულ სხვა სურათია კასპის, თელავის, გეგეჭკორის და ზოგიერთი სხვა რაიონების პარტიულ ორგანიზაციებში. იმის გამო, რომ ისინი სათანადოდ არ აფასებენ ამ პასუხსაგებ საქმეს, მათთან მოწოდების სიმაღლეზე არა დგას სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. კასპის რაიონის სოფელ ნოსტევს სააკაძის სახელობის კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადაში აგიტატორად ეუშაობს მასწავლებელი ი. მეზურნოვი. იგი იშვიათად აწყობს საუბრებს და როცა აწყობს, მაშინაც მოუმზადებლად, უხალისოდ, განყენებულად, ცხოვრებასთან დაუკავშირებლად. აგიტატორი არ იცნობს ბრიგადის მუშაობას, მას საწარმოო გეგმებს. სააგიტაციო მუშაობა ჩაშლილია თელავის რაიონის იყალთოსა და კისისხევის კოლმეურნეობებში. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელები ს. ენაქაშვილი და მ. მეჯვრიშვილი არ ადგენენ სამუშაო გეგმებს, სისტემატურად არ აწყობენ აგიტატორთა საინსტრუქტაჟო თათბირებს. აგიტატორები ა. გრემელაშვილი, მ. ზატიკაშვილი, ნ. ჯავახია, თ. თათიაშვილი იშვიათად დადიან ბრიგადაში, საუბრისათვის წინასწარ არ ემზადებიან, ხშირად მხოლოდ გაზეთის მშრალი კითხვით კმაყოფილდებიან. კისისხევის და იყალთოს კოლმეურნეობები სამარცხვინოდ ჩამორჩნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. კისისხევის კოლმეურნეობაში ჯერაც არ დაუმთავრებიათ სიმინდის პირველი თოხნა, ბაღჩეული კულტურების დამუშავების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 17 პროცენტით, არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს თივის დამზადება. მოსავალი ასაღებია, კოლმეურნეობა კი ამისათვის ჯეროვნად არ არის მომზადებული. ამავე დროს აგიტატორები უმოქმედობას იჩენენ, არ აწყობენ საუბრებს, არ რაზმავენ მშრომელებს ჩამორჩენის გამოსასწორებლად. ყოველივე ამას უყურადღებოდ ტოვებს როგორც კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია, ისე რაიკომის მუშაკების ჯგუფი თელავის მტსის ზონაში.

ახლა, როცა ხორციელდება სერიოზული ღონისძიებანი გაუპიროვნების აღმოსაფხვრელად სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში, როცა შექმნილია რაიკომის მუშაკთა ჯგუფები მტს-ების ზონების მიხედვით, ფართო შესაძლებლობა არსებობს სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ყოველმხრივ გაძლიერებისათვის, მასებთან, ადამიანებთან ცოცხალი პოლიტიკური მუშაობის გაჩაღებისათვის. რაიკომის მუშაკთა ჯგუფებმა მტს-ების ზონებში, მტს-ებისა და კოლმეურნეობათა პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი თავიანთი პოლიტიკური მუშაობა მასებში უნდა დაუქვემდებარონ მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების ამოცანას, რომელიც მთავარი ამოცანაა მიმდინარე მომენტში. პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორად შეხამება პარტიული ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. ამიტომ სასოფლო პარტიულმა ორგანიზაციებმა ამჟამად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ისე უნდა ააგონ, რომ იგი რეალურად უწყობდეს ხელს მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებას, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროზე და სანიმუშოდ განხორციელებას.

აგიტაციის წარმატების აუცილებელი პირობაა მისი მიზანდასახულობა, კონკრეტულობა, ქმედითობა, შეურიგებლობა მუშაობის ნაკლოვანებებისადმი. აგიტაცია ვერ დასჯერდება მარტო საკითხის განმარტებას, მისი ამოცანაა ამხილოს შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევები, ადამიანები, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან მინდობილ საქმეს, ამხილოს სოციალისტური საკუთრების მფლანგველები.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის მდიდარი და მრავალფეროვანი ფორმები: საუბრები, მოხსენებები, გაზეთების ყოველდღიური კითხვა, კედლის გაზეთები, რადიო, კინო, თვალსაჩინო აგიტაციის სხვადასხვა საშუალებები. სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ყველა ეს ფორმა ამჟამად უნდა დაექვემდებაროს მინდვრის სამუშაოთა წარმატებით შესრულების, მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების ამოცანას.

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ურხო კეკონენი

2 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ფინეთის მთავრობის დელეგაციის მეთაური, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ურხო კეკონენი.

მიღებას დაესწრო სსრ კავშირის დესპანი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი. (საკდესი).

სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის ყრილობა

1 ივლისს სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობაზე გრძელდებოდა ცენტროსოიუზის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა. დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობა ჩამორჩება მოსახლეობისა და კოლმეურნეობების მზარდ მოთხოვნებს, რომ საკმაოდ არ არის გამოყენებული საქონელბრუნვის გადიდებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეესყიდვის შესაძლებლობანი. სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან სოფლისათვის საჭირო საქონლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, საკმაო გავლენას ვერ ახდენენ მრეწველობაზე საქონლის წარმოების გადიდებასა და მისი ასორტიმენტის გაფართოებაში.

ლატვიის სამომხმარებლო კავშირის თავმჯდომარემ მ. ი. მუკემ, ვოლოგდის სამომხმარებლო საზოგადოებათა საოლქო კავშირის თავმჯდომარემ ვ. ვ. ლუკანიჩევმა და ყრილობის სხვა დელეგატებმა აღნიშნეს, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელი ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ სავაჭრო საწარმოთა მშენებლობას. მშენებლობის დაპროექტება და დაფინანსება უსისტემოდ წარმოებს, ადგილობრივ ორგანიზაციებს ხშირად არადამაკმაყოფილებელი პროექტები ეგზავნებათ, ისინი ვერ იღებენ საჭირო მასალებსა და ტექნიკურ დახმარებას.

— ამ ნაკლის, ისევე როგორც ბევრი სხვა ნაკლის, მიზეზი ხშირად აიხსნება იმით, რომ ცენტროსოიუზის აპარატის მუშაკებმა არ იციან თავიანთი ადგილობრივი ორგანიზაციების კონკრეტული საჭიროებანი, — თქვა ყრილობის დელეგატმა, ნოვოსიბირსკის ოლქის მოშკოვოს რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ს. მალცევმა.

ცენტროსოიუზის გამგეობის წევრმა მ. ი. გორელოვსკაიამ ილაპარაკა იმაზე, თუ რა მონაწილეობას იღებს საბჭოთა კოოპერაცია საერთაშორისო კოოპერაციულ ალიანსში. მოლდავეთის სამომხმარებლო კავშირის თავმჯდომარემ პ. ს. კრაიუშნმა ილაპარაკა იმ ურთიერთდამოკიდებულებაზე, რომელიც დამყარდა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კოოპერაციებს შორის.

დელეგატები გულთბილად შეხვდნენ უცხო ქვეყნების კოოპერაციის წარმომადგენლებს. ყრილობას მიესალმნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს გამგეობის წევრი ჩო ენ ხენი, უნგრეთის სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე იმრე დეგეი და ბულგარეთის ცენტრალური კოოპერაციული კავშირის თავმჯდომარე პეკო ტაკოვი.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

ტექნიკის სახლი ბელორუსიაში

მინსკი. (საკდესი). მინსკში შეიქმნა ტექნიკის რესპუბლიკური სახლი. მას აქვს დიდი საგამოფენო-საადემონსტრაციო დარბაზი, ტექნიკური პროპაგანდის განყოფილება. ცალკე შენობაში მოთავსდება ლითონნჯრის, ქიმიის ლაბორატორიები, სამშენებლო ტექნიკის, სახალხო მოხმარების საქონლის, მანქანათმშენებლობის კაბინეტები და ბიბლიოთეკა.

საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობა

2 ივლისს საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობისა და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის სარეკვიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: პ. ლორიამ, ს. თავაძემ, გ. სამხარაძემ, დ. შენგელაიამ, შ. რადიანმა, ვ. გორგაძემ, კ. ჭიჭინაძემ, ა. ჭეიშვილმა, ვ. ატრიანმა, რ. ჯაფარიძემ. ლენინგრადის მწერალთა ორგანიზაციის სახელით სიტყვა წარმოთქვა ვ. დრუზინმა.

ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ა. გომიაშვილის მოხსენება.

ამით დამთავრდა ყრილობის დილის სხდომა. (საქდესი).

• • •

საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობის 2 ივლისის საღამოს სხდომაზე კამათში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო მონაწილეობა მიიღეს: შ. დადიანმა, ლ. კალანდაძემ, ვ. გოლცევმა, კ. გამსახურდიამ, მ. მრევლიშვილმა.

ყრილობას მიესალმნენ: სომხეთის მწერალთა ორგანიზაციის სახელით — რ. პოღოსიანი, ყაზახეთის — ტ. ახტინოვი, ლატვიისა — ვ. ბრუტანი, კარელია-ფინეთის სსრ მწერალთა ორგანიზაციის სახელით — ვ. ევსეევი.

ყრილობა განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

გულთბილი გრძნობით

მოძმე აზერბაიჯანის პრესის ფურცლებზე

საქართველოს საბჭოთა მწერლების მეოთხე ყრილობასთან დაკავშირებით გამოვიდა აზერბაიჯანის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობისა და კულტურის სამინისტროს ორგანოს „ადაბიათ ვა ინჯასანათ“-ის (ლიტერატურა და ხელოვნება) სპეციალური ნომერი, რომელიც მთლიანად მიძღვნილია საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი.

გაზეთში მოთავსებულია გიორგი ლეონიძის, ალიო მირცხულავას, სიმონ ჩიქოვანის, იოსებ ნონეშვილის, რევაზ მარგიანის, ხუტა ბერულავას ლექსები, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ალექსანდრე ჭეიშვილის, აკაკი ბელიაშვილის მოთხრობები, ს. ჭილაიას, გ. თოფურიძის, გ. ორჯონიკიძის, ნ. ჯანბერიძის და ს. კინწურაშვილის წერილები.

ლექსები და მოთხრობები თარგმნილია მოწინავე აზერბაიჯანელი საბჭოთა მწერლების მიერ.

გაზეთში მოთავსებულია აგრეთვე ქართველი მწერლების — გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ალიო მირცხულავას, იოსებ გრიშაშვილის, კარლო კალაძის, ირაკლი აბაშიძის, აკაკი ბელიაშვილის, ალექსანდრე ჭეიშვილის, ხუტა ბერულავას და იოსებ ნონეშვილის პორტრეტები.

გაზეთის ეს ნომერი გაფორმებულია ლამაზად და გემოვნებით.

აძლიერებენ საშეფო დახმარებას

ქუთაისი. (საკ. კორ.). შუშის ტარის ქარხნის კოლექტივი სულ უფრო აძლიერებს საშეფო დახმარებას წყალტუბოს რაიონის სოფელ მუხიანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობისადმი.

ამ დღეებში ქარხანამ კოლმეურნეობას გადასცა დიდძალი სათადარიგო ნაწილები, დაუმზადა წყლის ავზი მეცხოველეობის ფერმისათვის, 300 ცალი ჭანჭიკი კულტივატორებისათვის, ტრაქტორის მისაბმელი რკინის ფარცხი და სხვ.

საშეფო საწარმო კოლმეურნეობას დაეხმარა აგრეთვე ავტომანქანის შეკეთებაში, საკოლმეურნეო სამჭედლოს იარაღების კომპლექტით შევსებისა და საჩითილეს მოწყობის საქმეში.

სიმინდისა და შაქრის ჭარხლის მეორე კულტივაცია

კასპი. (საკ. კორ.). კასპის მტს-ის პირველი სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი მ. გეჯაძე) სოფელ მეტეხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში შეუდგა სიმინდისა და შაქრის ჭარხლის მეორე კულტივაციას. კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი სიმინდის ორმხრივი მეორე კულტივაცია ტრაქტორებით ჩატარდა ხუთ დღეში 32 ჰექტარზე. შაქრის ჭარხლის მეორე კულტივაცია ჩატარებულია 30 ჰექტარზე.

ტრაქტორისტები ო. გეჯაძე, ვ. შარიფაშვილი და მ. გეჯაძე კულტივაციის ყოველდღიურ დავალებებს გადამეტებით ასრულებენ.

სიმინდისა და შაქრის ჭარხლის მეორე კულტივაცია სხვა კოლმეურნეობებშიც მიმდინარეობს.

საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობის მონაწილე მწერლების ჯგუფი. მარცხნიდან მარჯვნივ — **სხედან:** ს. რაგიმოვი, ა. პერვენცევი, ი. აბაშიძე, ნ. ტიხონოვი, გ. ტაბიძე; **დგანან:** გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, ბ. კუშელიოვი, ა. ოსტრეიკო, ხ. ჭილაია, გ. ჯიბლაძე, გ. აბაშიძე, ა. ნოვიცკი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

გეოლოგ ა. ბ. გავაშელის ინიციატივა

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურის მარგანეცის საბადო მდიდარია მარგანეცის კარბონატული მადნებით, რომლებიც წინათ დანაკარგებში მიდიოდა, ფუჭ ქანებში იყრებოდა. მარგანეცის ტრესტის მთავარმა გეოლოგმა, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. გავაშელმა ხელი მოჰკიდა კარბონატული მადნების მეტალურგიაში გამოყენების საკითხის შესწავლას და წარმატებით გადაჭრა იგი.

ახლახან მოსკოვიდან აქ მიიღეს ცნობა, რომ შავი მეტალურგიის მინისტრის ა. კუზმინის ბრძანებით ჭიათურის საბადოს მარგანეცის კარბონატული მადნების ძიებისა და მეტალურგიაში მათი გამოყენების საქმეში ინიციატივის გამოჩენისათვის, აგრეთვე მრავალი წლის მუშაობისათვის გეოლოგი ა. გავაშელი ოჯილდოებულია ორი თვის ხელფასით.

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

საქართველოს ჩაის ტრესტის 1 ივლისის ცნობებით

(გეგმის შესრულება პროცენტობით)

რაიონები	წლიურისა	ივნისისა
ბათუმის	41,3	68,4
ქობულეთის	39,1	79,1
ქედის	37,5	77,8
სულ აჭარაში	**39,7**	**76,4**
გალის	38,2	73,8
ოჩამჩირის	39,8	75,6
გულრიფშის	43,1	67,5
სოხუმის	34,8	53,9
გუდაუთის	38,7	75,6
სულ აფხაზეთში	**38,9**	**74,2**
მახარაძის	37,2	67,3
ჩოხატაურის	36,1	46,3
ლანჩხუთის	36,5	53.8
სამტრედიის	24,9	32,5
წულუკიძის	29,7	40,1
ქუთაისის	34.2	52,4
წყალტუბოს	42,9	88,0
ტყიბულის	28,9	49.3
ცხაკაიას	29,0	39,0
აბაშის	22,7	20,8
გეგეჭკორის	32,1	55.0
ზუგდიდის	32.5	55.3
წალენჯიხის	38,5	74,3
ჩხოროწყუს	40,3	71,7
ხობის	31,5	42,1
თერჯოლის	37,7	44.7
ზესტაფონის	59,3	120,0
სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში	**36,5**	**64,1**

თივის აღებისა და დასილოსების მიმდინარეობა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1954 წლის 1 ივლისის ცნობებით)

რაიონები	ბუნებრივი სათიბების აღების გეგმის შესრულება პროცენტობით	საგუბების დასილოსების გეგმის შესრულება პროცენტობით
ახალქალაქის	0	0
ბოგდანოვკის	0	0
ახალციხის	0	0
ადიგენის	0,3	0
ასპინძის	7,2	1,8
ხაშურის	8,3	0
ქარელის	18,8	0
გორის	73,0	1,4
კასპის	152,4	4,7
ბორჯომის	.0	0
წალკის	0	0
დუშეთის	87,5	1,7
თეთრი წყაროს	52,0	21,7
თიანეთის	104,4	0
ყაზბეგის	140,8	0
გურჯაანის	214,5	14,2
კაჭრეთის	118,8	16,9
სიღნაღის	354,4	3,0
წითელწყაროს	196,7	62,8
თელავის	269,0	0
ახმეტის	85,7	0,8
ყვარლის	303,3	11,1
ლაგოდეხის	129,5	0
გარეჯის	117,0	8,1
მცხეთის	257,0	0
გარდაბნის	85,5	0
მარნეულის	105,3	13,9
ბოლნისის	153,3	5,2
საგარეჯოს	83,9	0,9
დმანისის	3,3	30,3
სამხ. ოსეთის ავტ. ოლქის	20,0	0
აბაშის	0	0
ცხაკაიას	0	0
გეგეჭკორის	0	0
ზუგდიდის	0	0
ხობის	0	0
წალენჯიხის	0	0
ჩხოროწყუს	0,5	0
მახარაძის	0	0
ლანჩხუთის	0	0
ჩოხატაურის	0	0
ფოთის	55,3	0
ქუთაისის	7,0	0
წყალტუბოს	—	0
სამტრედიის	0	0
წულუკიძის	0	0
ვანის	—	0
მაიაკოვსკის	0	0
ზესტაფონის	0	0
თერჯოლის	—	0
ჭიათურის	17,0	0
საჩხერის	3,0	0,3
ორჯონიკიძის	0	0
ტყიბულის	0	0
ონის	0,2	0
ამბროლაურის	0	0,2
ცაგერის	8,0	0
ლენტეხის	0	0
მესტიის	0	0
ქლუხორის	0	0
იფხაზეთის ასსრ	2,7	0
აჭარის ასსრ	0,7	0
სულ რესპუბლიკაში	**32,9**	**5,7**

მთელი ძალები დავრაზმოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილების წარმატებით განხორციელებისთვის

★

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ყველა პარტიული ორგანიზაციის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა შემდგომ განმტკიცდეს კოლმეურნეთა და მტს-ების მუშათა შრომის დისციპლინა და გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება, რაც შესაძლებელს გახდის უზრუნველყოფილ იქნას ნათესლების სანიმუშო მოვლა, საკმარ რაოდენობით დამზადდეს საკვები პირუტყვისათვის, მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ განხორციელდეს მოსავლის აღება, ვადამდე შესრულდეს სახელმწიფოსათვის პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების ვალდებულებანი, მთლიანად გამოიყოს სათესლე და სხვა ფონდები, გამრავლდეს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი სიმდიდრე და ამ საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას ყველა კოლმეურნეობაში კოლმეურნეთა შრომადღის კარგი ანაზღაურება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებიდან.

★

შეჯიბრებაში გამარჯვებული

მაღალი მოსავლის მიღებისათვის ნიადაგი მოვხანით 22-25 სანტიმეტრზე წინასახნისიანი გუთნით. ადრე გაზაფხულზე, როგორც კი სატრაქტორო ბრიგადას მინდვრად გასვლის საშუალება მიეცა, რგოლისათვის მიჩენილ ფართობზე მოვაწყეთ მზრალის საადრეო ფარცხვა, რითაც ნიადაგში ტენი შევინარჩუნეთ. ამის შემდეგ თესვის წინ რვა-ათ სანტიმეტრზე ჩავატარეთ აოშვა. თესვა დავამთავრეთ საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში. სიმინდი და მზესუმზირა წელს კვადრატულ-ბუდობრივად დავთესეთ.

აღმოცენების შემდეგ ჩავატარეთ კულტივაცია. შემდეგ მოვაწყეთ მეორე კულტივაცია. რგოლის წევრები თვითეული ბუდნის დამუშავებას ინდივიდუალური წესით მიუდგნენ. ზედმეტად აღმოცენებულ მცენარეებს ვსპობდით და ბუდნაში ორ მცენარეს ვტოვებდით.

ჩვენი რგოლი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში სათოხნი კულტურების სანიმუშოდ მოვლისა და მოსავლიანობის ამაღლებისათვის. პარტორგანიზაციისა და გამგეობის მიერ გამოყოფილმა ჟიურიმ საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის ბრიგადის გარდამავალი დროშა ჩვენს რგოლს მიაკუთვნა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებამ დიდი ენერგია შეგვმატა უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში.

ჩვენი რგოლის შეჯიბრების დროშას აწერია: ჰექტარზე მოვიყვანოთ 16 ცენტნერი მზესუმზირა ნაცვლად 12-სა და სიმინდის გეგმიან მოსავლიანობას ჰექტარზე სამი ცენტნერით გადავაჭარბოთ. ამ ვალდებულებას პირნათლად გავანაღდებთ.

ძსენია კობლამაზაშვილი,

სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

★ ★

რა გვიჩვენა მოსავლის აღების პირველმა დღეებმა

სიცხიანმა ამინდმა დააჩქარა პურის შემოსვლა. ყვარლის რაიონის კოლმეურნეობათა ნათეს დიდ მასივებზე ხორბალი სანთლისფერ სიმწიფეში შედის. ახალსოფლელი კოლმეურნეები მოსავლის აღებას შეუდგნენ. მალე მკა მასობრივად გაჩაღდება. ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნ. ახოშვილი) მოსავლის აღებაზე ცნობილი კომბაინერი ვ. დაქიურიძე მუშაობს. 27 და 28 ივნისს მან მეოთხე ბრიგადის „ხევებშუა“ ნაკვეთში 30 ჰექტარი პური მომკა.

ყვარლის მტს-ის მექანიზატორებთან თანამეგობრობით ახალსოფლელმა კოლმეურნეებმა წელს პურის უხვი მოსავალი მოიყვანეს. მშრომელთა გულს ახარებს 640 ჰექტარზე მობიზინე ყანები. უკვე მომკილი 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 21 ცენტნერი პური. ზოგიერთ ნაკვეთში (მაგალითად, „გრძელმინდვრებში“) პურის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 27-28 ცენტნერს მიაღწევს.

28 ივნისს პურის მკას შეუდგნენ ახალსოფლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაშიც, სადაც 672 ჰექტარი მარტო ხორბალი უნდა აიღონ. მკაზე მუშაობენ ყვარლის მტს-ის კომბაინერები ს. ბუთიაშვილი და გ. ლალიაშვილი. პირველი მათგანი, რომელმაც წელს 600 ტონა მარცვლეულის გალეწვა იკისრა, საქმით შეუდგა ვალდებულების გაღაღებას. 28 ივნისს მეექვსე ბრიგადის „აფენის წყლის პირის“ ნაკვეთზე ოთხი ჰექტარი ფართობის თვითეული ჰექტარიდან 30 ცენტნერი პური მიიღო.

აღნიშნულ კოლმეურნეობებში მოსავლის აღების პირველ დღეებში გამოვლინდა მთელი რიგი ნაკლოვანებებიც. კომბაინერი ს. ბუთიაშვილი ახალსოფლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში პურს მაღალ ჭრაზე (60 სანტიმეტრი) იღებდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ს. ჭაბუკიანი შეეცადა მექანიზატორის ასეთი მოქმედება „ობიექტური“ მიზეზებით გაემართლებინა. მომკილ ფართობზე გაბნეულია ბევრი თავთავი, ალაგალაგ გვხვდება ხარვეზები. საველე კალოზე ტონობით მიტანილი პური იწონება ერთადერთ სასწორზე, რომელზეც ერთდროულად მხოლოდ 60 კილოგრამის აწონა შეიძლება. მოისუსტებს სააგიტაციო მუშაობა. ვერ ნახავთ პლაკატებს, ლოზუნგებს და თვალსაჩინო აგიტაციის სხვა საშუალებებს.

ლენინის სახელობის კოლმეურნეობის აღებულ ფართობებზე არ მიმდინარეობს თავთავების შეგროვება. ეს საქმე მინდობილი აქვს რამდენიმე მოზარდს. ყვარლის მტს-ის აგრონომი ამ კოლმეურნეობაში ამხ. ი. ნაბიაშვილი ურიგდება ასეთ მდგომარეობას. მას ავიწყდება, რომ აუცილებელია აღებულ ფართობებზე თავთავების დაუყოვნებლივ შეგროვება და ამ ფართობების სავალდებულო ყოველდღიური მიღება.

კოლმეურნეობას არ მოუმარაგებია საჭირო ბრეზენტები, ტომრები. კალო, რომელზეც გროვდება აღებული ნაკვეთებიდან მოზიდული მარცვლეული, პრიმიტულია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, აქ ვერ უზრუნველყვეს მარცვლეულის მექანიზებული წმენდაც. კალოზე მარცვლეული სქლად არის დაგროვილი, რაც ჩახურების საფრთხეს უქმნის.

ყველა კომბაინერი, რომელიც დღეს ახალსოფლის ორივე კოლმეურნეობის პურის ყანების აღებაზე მუშაობს, ენერგიული და საქმიანი მუშაკია. მაგრამ მათ პრაქტიკაში არ დაუნერგიათ ისეთი პროგრესული ღონისძიებანი, როგორიც არის საათობრივი გრაფიკით მუშაობა, მესამე გაწმენდა, აგრეთვე სხვადასხვა სამარჯვები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომბაინებიდან სუფთა მარცვლის მიღებას. მტს-ების დირექციები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ნაკლებად ეხმარებიან მექანიზატორებს წარმოებაში პროგრესულ ღონისძიებათა დანერგვაში.

ყვარლის რაიონის მშრომელები წელს პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან. მოკლე ვადაში მათ უნდა შეასრულონ დიდი მოცულობის სამუშაოები —აიღონ 10.878 ჰექტარი პური. ზოგიერთი ნაკლოვანება, რაც მოსავლის აღების პირველ დღეებში გამოვლინდა, სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი ყვარლის რაიონის მშრომელებს უსახავს საბრძოლო ამოცანას — სწრაფად, უდანაკარგოდ აიღონ მიმდინარე წლის უხვი მოსავალი.

გ. ზუკაკიშვილი,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

პურეულის მკის წინ

წითელსოფლის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობა ერთი-ერთი მოწინავეა ხოლნისის რაიონში. კოლმეურნეობას ახალგაზრდა აგრონომი იოსებ ჟუჟუნაშვილი ხელმძღვანელობს. მალე გაჩაღდება მკა. წელს პურეული აღებული იქნება 400 ჰექტარზე. კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ გადამჭრელი ზომები მიიღეს მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის. მზად არის ავტომანქანები, ფარდულები, 12 სასწორი, მისასვლელი გზები, შეძენილია 200 ცალი ტომარა, დეზინფექცია გაუკეთდა ყველა საწყობს, მთავრდება ახალი 10-ტონიანი სასწორის დადგმა.

წითელსოფლის კოლმეურნეობას მომსახურებას უწევს თამარისის მანქანა-ტრაქტორთა სადგური. აქ პურეულს მომკიან კომბაინერები ა. ახმედოვი და ს. ახმედოვი. მათ გადაწყვეტილი აქვთ წითელსოფელში პურეულის აღება დანამთავრონ ათ სამუშაო დღეში.

ა. სეხნიაშვილი,

ბოლნისის რაიონულ გაზეთ „წითელი დროშის“ რედაქტორი.



კაპრეთის რაიონის სოფელ ჯიმითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა; სურათზე: კომბაინერ შ. ჯაფოშვილის აგრეგატი კოლმეურნეობის პურეულის აღებაზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

კომბაინერთა ვალდებულებანი

ხაშური. (სპეც. კორ.). პურეული მწიფდება. გომის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორები მზად არიან მარცვლეული კულტურების მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებად. მათი პირობაა წელს 20 სამუშაო დღეში პური მომკან 3.500 ჰექტარზე ნაცვლად 3.000 ჰექტარისა. კომბაინერი შ. მოსიაშვილი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ა. მელიქოვთან და ვალდებულება იკისრა „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით სოფელ ნაბახტევის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 18 სამუშაო დღეში პურეული მომკას 500 ჰექტარზე და გალეწოს 6.000 ცენტნერი მარცვლეული.

დ. ნოზაძე კარგად დაეუფლა თვითმავალი კომბაინის მართვას. იგი იბრძვის იმისათვის, რომ სოფელ ფლევის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში 20 სამუშაო დღეში პურეულის მოსავალი აიღოს 400 ჰექტარზე ნაცვლად 220 ჰექტარისა და გალეწოს 5 ათასი ცენტნერი, 5 პროცენტით დაზოგოს საწვავი.

პურეულის უდანაკარგოდ აღებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ხაშურის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორები. ნ. ზურაშვილი ეჯიბრება ს. მეტივეშვილს. ზურაშვილმა პირობა დადო პურეული აიღოს 400 ჰექტარზე და გალეწოს 5 ათასი ცენტნერი.

კომბაინერ შ. ილიაევის წარმატება

მცხეთა. („კომუნისტის“ კორ.). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებით აღფრთოვანებულმა მცხეთის მტს-ის კომბაინერმა შ. ილიაევმა სოფელ ქვემო ქანდის კოლმეურნეობაში ახალი შრომითი წარმატება გვიჩვენა, ერთ დღეში მომკა 20 ჰექტარი ქერი, როცა გეგმა 10 ჰექტარს ითვალისწინებდა. იგი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება კომბაინერ ვ. გომუთრაშვილთან და ვალდებულება იკისრა 20 სამუშაო დღეში პურეულის მოსავალი აიღოს 500 ჰექტარზე და გალეწოს 6 ათასი ცენტნერი ხორბალი.

★

აგრონომი კოლმეურნეოგაში

— ამხანაგო პავლე, გადაწყვეტილი გვაქვს იმუშაოთ ულიანოვკის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში. სპეციალისტები უშუალოდ უნდა მიუახლოვდნენ საკოლმეურნეო წარმოებას და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ჩვენი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრ აღმავლობას. ასეთია ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის სამრძოლო მოწოდება. ხომ თანახმა ხართ? — ასეთი კითხვა დაუყენა ახალგაზრდა აგრონომს ლაგოდეხის მტს-ის დირექტორმა ამხ. პ. ქემოკლიძემ.

— დიახ, თანახმა ვარ. კარგად მესმის, აგრონომის ადგილი სად უნდა იყოს, — მოკლედ მოჭრა სიტყვა პავლე დონაძემ.

ეს იყო გასული წლის შემოდგომაზე, ოქტომბრის ბოლო რიცხვებში.

პავლე ძლიერ ახალგაზრდა იყო, საშუალო ცოდნა ჰქონდა, როცა პირველი პრაქტიკული გამოცდა გაიარა თავის რაიონში — საჩხერეში. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი აგრონომი გამხდარიყო.

არასოდეს არ დაავიწყდება პავლეს 1949 წელი. ეს იყო გარდატეხის წელი მის ცხოვრებაში. პავლე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1953 წელს წარმატებით დამთავრა ინსტიტუტი და იმავე წლის შემოდგომაზე ჩარიცხეს ლაგოდეხის მტს-ის შტატში ულიანოვკის კოლმეურნეობაში სამუშაოდ.

ამ დღიდან ბევრი რამ შეიცვალა პავლეს ცხოვრებაში. იგი ბევრ საინტერესო საკითხს გაეცნო. სწავლული აგრონომი მუშაობას შეუდგა კოლმეურნეობაში.

— ჩემი პირველი და მთავარი საზრუნავი გახდა, — ამბობს ამხ. დონაძე, — ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლა. დღის წესრიგში დადგა კოლმეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის მიღწევა. ეს იოლი საქმე როდია.

აგრონომი დაფიქრდა. იგი დააკვირდა ჩანაწერებს თავის უბის წიგნაკში და ამოიკითხა: კოლმეურნეობას უთესია 641 ჰექტარი ხორბალი, 117 ჰექტარი სიმინდი, 53 ჰექტარი მზესუმზირა, 110 ჰექტარი თამბაქო, 10 ჰექტარი ეთერზეთოვანი კულტურები, საკმაოდ დიდ ფართობზე ბოსტნეული კულტურები...

აი პ. დონაძის მუშაობის რამდენიმე მაგალითი:

აგრონომმა დაუმტკიცა კოლმეურნეებს, რომ მწვანე კონვეიერი ადიდებს მეცხოველეობის საკვებ ბაზას, და მისი ინიციატივით კოლმეურნეობაში დათესეს 35 ჰექტარი. მან გაითვალისწინა მომავალში მწვანე კონვეიერის გადიდების საკითხი და დაჯავშნა სათესლე ნაკვეთები. თვითეულ ნათეს ჰექტარზე მიღებულ იქნა 22 ცენტნერი მოსავალი. რაც უზრუნველყოფს ოთხმოცი ჰექტარი მწვანე კონვეიერის დათესვას.

ზამთრის პერიოდში აგრონომმა ხელი მოჰკიდა მეკარტოფილეობისა და მებოსტნეობის განვითარების საკითხებს. მისი აქტიური მონაწილეობით პირველად განხორციელდა ტორფნეშომპალის ქოთნებში პამიდორისა და კიტრის ჩითილის გამოყვანა. 5.600 ცალის ნაცვლად დაამზადეს 8.000 ცალი ქოთანი. წელს კოლმეურნეობამ უხვად მიიღო საადრეო ბოსტნეული.

აგრონომმა ყოველდღიურად იცის, რა მდგომარეობაშია სიმინდი თუ თამბაქო, ხორბალი თუ ბოსტნეული. პავლეს სამუშაო დღე მინდვრად არის. საღამოს ის აკეთებს ჩანაწერებს, აჯამებს იმ დღის შედეგებს და ინიშნავს, თუ რა აუცილებელი სამუშაო უნდა შესრულდეს ხვალ და ზეგ.

როგორც წესი, კოლმეურნეობაში ყოველ საღამოს იკრიბებიან ბრიგადირები, აქტივისტები. კოლმეურნეობის თავმჯდომარე მოკლე ანალიზს უკეთებს სამუშაო დღის შედეგებს და დავალებებს აძლევს მათ მეორე დღისათვის. აგრონომი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობს ამ საქმეში, ყურადღებას ამახვილებს აგროწესების დარღვევებზე, უხსნის, თუ როგორ და რა საშუალებით გამოასწოროონ ისინი.

მინდვრად მუშაობის დროს პავლე ყველგან გამოჩნდება ხოლმე. ამიტომ არის, რომ რომელ ნაკვეთშიც მიხვალთ, გეტყვიან: აგრონომი სულ ჩვენთან არის, ვერ ითმენს ოდნავ დარღვევებს, ვგრძნობთ მის ნამდვილ დახმარებასო.

ამ გაზაფხულზე პავლემ მეექვსე ბრიგადაში აგროწესების დარღვევის ფაქტს წააწყრო. ბრიგადირი ვ. კოხანოვი მოიხმო და 2,5 ჰექტარი ზერელედ მოხნული ნიადაგი ხელახლა მოახვნევინა შრომადღეების დაუწერლად. იყო ასეთი შემთხვევაც: მემინდვრეობის მეექვსე ბრიგადაში კარტოფილს დაუმუშავებელ ნიადაგზე რგავდნენ, დაცული არ იყო კვადრატები. აგრონომმა კოლმეურნეებს ასწავლა კვადრატულ-ბუდობრივად რგვის წესი, აუხსნა მისი დიდი მნიშვნელობა და 200 კვადრატულ მეტრზე ხელახლა დაარგვევინა კარტოფილი.

კოლმეურნეობაში წინათ არღვევდნენ სათესლე მასალის შერჩევის წესს. სათესლე მასალაზე უნდა გამოიწეროს ცალკე ზედნადები და თესლი შენახულ იქნას ცალკე. ახლა ამ სამუშაოს აგრონომი ჩაუდგა სათავეში.

დაიწყო პურეულის მოსავლის აღება. აგრონომი მინდვრად ტრიალებს. კარგად იცის, თვითეულ კომბაინერს რა ულხინს და რა უჭირს. თვალყურს ადევნებს დანაკარგებთან ბრძოლას. ზომებს იღებს, რომ მოსავლის აღებისთანავე შეაგროვონ ნამჯა და დაზვინონ.

— აქედან იწყება ბრძოლა მოსავლიანობის გადიდებისათვის, — ამბობს პავლე დონაძე. — სამუშაოთა თანმიმდევრობა თუ დაირღვა, ეს გავლენას მოახდენს მოსავლიანობაზე. ამიტომ მოსავლის აღებისთანავე ვახორციელებთ ნიადაგის აჩეჩვას. დროულად ვიწყებთ ხვნას. ნაწილ ფართობზე სწრაფად ვთესავთ სანაწვერალო კულტურებს მეორე მოსავლის მისაღებად.

მოსავლიანობის გადიდების პროგრესულ ღონისძიებათა დანერგვის საკითხებზე აგრონომი სისტემატურად კითხულობს ლექციებს, აწყობს საუბრებს, კონკრეტულ მითითებებს იძლევა პარტიულ კრებებზე, გამგეობის სხდომებსა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე, აგრეთვე სასოფლო საბჭოს სესიებზე. ყველაფერი ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაზე.

აგრონომი პავლე დონაძე ამ ამოცანების შესრულების დროს როდი ივიწყებს იმას, რომ აუცილებელია გაიმდიდრო ცოდნა. ამიტომ იგი ყოველდღიურად კითხულობს ახალ ჟურნალ-გაზეთებს, ბროშურებს, სპეციალურად გამოცემულ სასოფლო-სამეურნეო, პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას.

ახლა აგრონომი ადგენს კოლმეურნეობის მომავალი წლის ფართო პერსპექტიულ გეგმას, რამაც უნდა უზრუნველყოს ყველა დარგის ახალი, მძლავრი აღმავლობა.

ნ. ჯანჯღავა,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

პურეულის მოსავალს ავიღებთ სწრაფად და უდანაკარგოდ

როგორ მივაღწიოთ კომბაინის მაღალ ნაყოფიერებას

ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც მრავალი წელია ბრიგადირ-კომბაინერად ვმუშაობ, კარგახანია არ გვინახავს პურეულის ასეთი უხვი მოსავალი. გახედავ მინდვრებს, და გული სიხარულით გევსება, რომ კოლმეურნეთა და მექანიზატორთა დაუცხრომელ შრომას სასურველი შედეგი გამოუღია. ჰექტარზე საშუალოდ 15-16 ცენტნერ პურს ავიღებთ, ხოლო ცალკეულ ნაკვეთებზე გაცილებით მეტს.

ჩვენი კომბაინის აგრეგატი იმუშავებს საათობრივი გრაფიკით და სტახანოვური გეგმა-მარშრუტით. ამასთან საათობრივ გრაფიკში გავითვალისწინეთ ყოველი სამუშაო დღისათვის პურეულის სიხშირე, უბნის ოდენობა, ფორმა და რელიეფი. სტახანოვურ გეგმა-მარშრუტში ზუსტად არის განსაზღვრული მასივების რიგრიგობით აღება და გამოანგარიშებულია მანქანის გადასვლისათვის საჭირო დრო.

კომბაინი „სტალინეც-6“, რომელითაც წელს მკაზე ვიმუშავებ, სრულყოფილი მანქანაა და გამოირჩევა ყველა იმ მაღალი თვისებით, რომლებიც დამახასიათებელია ჩვენს ქვეყანაში დამზადებული მოსავლის ასაღები მანქანებისათვის. მიუხედავად ამისა, გადავწყვიტეთ გასული წლების გამოცდილების საფუძველზე რაციონალიზატორული სრულყოფის განხორციელებით მივაღწეოთ აგრეგატის უფრო მეტ ნაყოფიერებას, სრულიად აღვკვეთოთ მარცვლეულის დანაკარგი, ეფექტიანად გამოვიყენოთ სამუშაო დროის ყოველი წუთი. ამ მიზნით კომბაინზე გავმართეთ მთელი რიგი უმარტივესი მოწყობილობანი, რომლებიც აძლიერებენ მანქანის დადებით მხარეებს.

მექანიზატორებმა კარგად იციან, რომ კომბაინით პურის ლეწვის დროს მარცვლის ნაწილი ნამჯას მისდევს. დანაკარგების თავიდან ასაცილებლად ხვავის ტრანსპორტიორიდან მარცვლის უკეთ გამობერტყვილისათვის დავაგრძელეთ ნამჯის გადამტანი ტრანსპორტიორი, აგრეთვე მის ქვემოთ მოთავსებული დამცურებელი დაფა და დავუყენეთ დამაბითი ბიტერი. მოვაწყეთ გაუმჯობესებული მეორე წმენდაც, რაც აშცირებს როგორც მარცვლეულის დანაკარგებს, ისე შრომის დანახარჯებს კალოზე მარცვლეულის დამატებით წმენდაზე და ბუნკერიდან ჩამოსული სუფთა მარცვლეულის პირდაპირ დამამზადებელ პუნქტში ჩაბარების საშუალებას იძლევა.

წელს საერთოდ ნაკლებია ჩაწოლილი პურის პროცენტი. საჭიროების შემთხვევაში ჩვენ მაინც მოვაწყობთ კომბაინზე ჩაწოლილი პურის ასაღებ მოწყობილობას — ხედრის ტარაბუაზე დავუყენებთ თითებიან ფრთებს, რომლებიც წამოაყენებს პურს და გააადვილებს მჭრელი აპარატის მუშაობას.

პრაქტიკით დამტკიცებულია, რომ უმარცვლმჭეროდ მკის დროს ჰექტარზე მარცვლეულის დანაკარგი 20 კილოგრამს შეადგენს. ეს რო“ არ მოხდეს, კომბაინზე დავაყენეთ მარცვალმჭერი.

როგორც ცნობილია, მანქანის გაჩერებით ბუნკერის მარცვლისაგან დაცლა დიდ დროს მოითხოვს. ვიბრძოლეთ რა დროის ყოველი წუთის ეკონომიისათვის, აგრეგატს არ გავაჩერებთ ბუნკერის დასაცლელად. სპეციალურ ავტომანქანაზე, რომელიც კოლმეურნეობის გამგეობამ გამოგვიყო, მარცვლეულის ბუნკერიდან გადმოტვირთვას აგრეგატის გაუჩერებლად მოვაწყობთ.

მკას ვაწარმოებთ მხოლოდ დაბალ ჭრაზე. თვითეული მექანიზატორისათვის გასაგებია ამ ღონისძიების მნიშვნელობა. პირადად მე საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ დაბალ ჭრაზე აღებას შედეგად მოსდევს ჰექტარზე დაახლოებით 40 კილოგრამი პურის დაზოგვა. თუ ამას დავუმატებთ ნამჯის რესურსების გადიდებას, რასაც დაბალი ჭრით ვაღწევთ, ცხადი შეიქნება, რა დიდი საქმის გაკეთება შეუძლია მექანიზატორს დანაკარგების აღკვეთისა და მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეში.

ჩვენი კომბაინის აგრეგატი მომზადებულია ორ ცვლად მუშაობისათვის და ყველა ზომას მივიღებთ იმისათვის, რომ აგრეგატი დღეღამეში 20 საათს ვამუშაოთ. ყოველი 10 საათის მუშაობის შემდეგ მოვაწყობთ ერთი საათის გაჩერებას პროფილაქტიკური დათვალიერების მიზნით. აღნიშნულ დროს გამოვიყენებთ საკისარების დასაზეთავად, სალეწის, მჭრელი აპარატისა და ძრავის დეტალების შესამოწმებლად და გასამაგრებლად. ამის შემდეგ მუშაობაში ჩაებმება მეორე ცვლა. მკას ვაწარმოებთ ღამის 2-3 საათამდე. ღამის სამ საათზე აგრეგატს ორ საათს გავაჩერებთ ძირითადი ტექნიკური მოვლისა და ხელახალი მუშაობისათვის მოსამზადებლად, რაც დილის 5 საათზე დაიწყება.

ს. რამაზაშვილი.

• • •

ღამით მუშაობისათვის კომბაინზე მოწყობილია ელექტროგანათება. აგრეგატი აღჭურვილია საჭირო ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით (ცეცხლმქრობი, ნიჩბები, ხელის ყუთები და სხვ.).

კომბაინის წარმადობის ამაღლების დიდი რეზერვია აგრეგატის გაწყობა მანქანის გაუჩერებლად. ამით ჩვენ დღეღამეში ვიგებთ სულ მცირე სამ საათს, და ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე ჰექტარი პურეულის აღება შეიძლება.

ფართობის დიდი ნაწილის აღებას ვფიქრობთ მესამე და მეოთხე სიჩქარეზე, მაგრამ მკა მოგვიხდება პირველი და მეორე სიჩქარითაც. დილით, როცა პური ჯერ კიდევ ტენიანია, აგრეგატი იმუშავებს პირველი სიჩქარით, დღის 12 საათამდე — მეორე, 12 საათიდან 19 საათამდე — მესამე, ხოლო ღამით — კვლავ მეორე სიჩქარით. აგრეგატის მოძრაობის სიჩქარის ასეთი მანევრირება საშუალებას მოგვცემს მინიმუმამდე დავიყვანოთ კომბაინის იძულებით გაჩერებათა შემთხვევები, მაქსიმალურად გავადიდოთ აგრეგატის სამუშაო დღე და აღვკვეთოთ დანაკარგები.

კომბაინის აგრეგატის წარმატებით მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა ტრაქტორისტისა და კომბაინერის მოქმედების შეთანხმება. ცოტაჯერ როდი მინახავს, რომ ტრაქტორისტს აგრეგატი მიჰყავს მესამე ან მეოთხე სიჩქარეზე და არც კი აქცევს ყურადღებას ყანის მდგომარეობას. მაგრამ ასე როდი იქცევა ჩვენი უფროსი ტრაქტორისტი არჩილ ჭიჭიაშვილი, რომელთანაც 7 წლის განუყრელი საწარმოო ურთიერთობა მაკავშირებს. ტრაქტორის მართვის დროს იგი მუდამ იღებს მხედველობაში პურის მდგომარეობას. მაგალითად, ძლიერ დასარევლიანებულ ან სქელ ყანაში მუშაობისას სიჩქარეს უკლებს, რათა კომბაინის სალეწი არ გადატვირთოს. გულმოდგინედ უგდებს ყურს კომბაინის ძრავის მუშაობას, ხმით განსაზღვრავს მისი დატვირთვის ხარისხს და ამის მიხედვით აწესრიგებს აგრეგატის მოძრაობის სიჩქარეს. ასევე შემიძლია ვთქვა აგრეგატის კოლექტივის სხვა წევრებსა და დამხმარე მუშახელზე.

არაერთხელ მსმენია ჩემი ამხანაგებისაგან, „სოლომონ რამაზაშვილის მანქანა არ ხმაურობსო“. ამას მხოლოდ იმით მივაღწიე, რომ კომბაინი ყოველთვის გამართულ მდგომარეობაში მაქვს, ყოველი დეტალი თავის ადგილზეა, გაზეთილი და წესრიგზე მოყვანილი. აგრეგატის კოლექტივის ყოველი წევრი პასუხისმგებელია მუშაობის პროცესში ცალკეული კვანძის დეტალების ტექნიკური მოვლისა და შეწყობილი მუშაობისათვის.

გასულ წელს კომბაინერთა შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორი ვიყავი. რელიეფის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად 600 ჰექტარზე მეტი მოსავალი ავიღე. წელს სიამოვნებით მივიღე თელავის მტს-ის კომბაინერის დ. გიგოლაშვილის გამოწვევა, ვიკისრე მიმდინარე სეზონშიც ავიღო 24 სამუშაო დღეში 600 ჰექტარი მოსავალი და გავლეწო 800 ტონა მარცვლეული.

17 წელია კომბაინერად ვმუშაობ. მოუთმენლად მიმიწევს გული ზღვასავით მღელვარე უანებისაკენ. აგრეგატი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ყოველმხრივ მზად არის მოსავლის ასაღებად, მკის დაწყების მხოლოდ ნიშანს ელის. ამ დღეებში ჩვენი ველის ხომალდი შეეცურდება ზემო ხოდაშნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ყანებში.

მაშინ ვნახოთ, ვინ გიმარჯვებს ჩვენი რესპუბლიკის კომბაინერთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ს. რამაზაშვილი,

ახმეტის მტს-ის ბრიგადირ-კომბაინერი.

საქმე ბევრია, მიზანი ერთი:
ქვეყანას მივცეთ ხორბალი მეტი!
მოდის მარცვალი ახალთახალი
და უკვე მისდევს ალალს ალალი!

საბჭოთა მთავრობის ნოტა

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი ჯანკერ „ტუაფსეს“ მოტაცებასთან დაკავშირებით

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, 24 ივნისს საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაუგზავნა ნოტა იმის გამო, რომ ნაღმოსნის ტიპის სამხედრო გემმა მოიტაცა საბჭოთა ტანკერი „ტუაფსე“, კუნძულ ტაივანის სამხრეთით, წყლებში, რომლებსაც კონტროლს უწევენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალები.

26 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ მოსკოვში გამოუგზავნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპასუხო ნოტა ამ საკითხზე, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უსაბუთოდ უარყოფს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მონაწილეობას საბჭოთა გემის უკანონოდ მოტაცებაში.

ამასთან დაკავშირებით, 2 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს გაუგზავნა შემდეგი ნოტა:

„ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 1954 წლის 26 ივნისის ნოტის გამო იმის შესახებ, რომ საბჭოთა ტანკერი „ტუაფსე“ მოიტაცა სამხედრო გემმა კუნძულ ტაივანის სამხრეთით, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ მას არ შეუძლია დამაკმაყოფილებლად ცნოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პასუხი საბჭოთა მთავრობის 24 ივნისის ნოტაზე.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ტანკერი „ტუაფსე“ ნაღმოსნის ტიპის სამხედრო გემმა მოიტაცა 23 ივნისს ღია ზღვაში კუნძულ ტაივანის სამხრეთით. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თავის 26 ივნისის ნოტაში არ უარყოფს არც იმ ფაქტს, რომ ტანკერი „ტუაფსე“ მოიტაცა სამხედრო გემმა, არც იმას, რომ ღია ზღვის რაიონს, რომელშიც მოტაცება მოხდა, კონტროლს უწევს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საზღვაო ფლოტი. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თავის ნოტაში მხოლოდ უსაბუთოდ უარყოფს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მონაწილეობას ამ უკანონო აქტში.

მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ საბჭოთა ტანკერის მოტაცება იმ წყლებში, რომლებსაც კონტროლს უწევს შეერთებული შტატების ფლოტი და პატრულობენ მათი სამხედრო თვითმფრინავები, შეეძლოთ განეხორციელებინათ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალებს, რა ალმითაც უნდა მოქმედებდნენ ისინი.

აღნიშნულის გამო საბჭოთა ტანკერ „ტუაფსეს“ მოტაცებისათვის, აგრეთვე მისი ეკიპაჟის უსაფრთხობის უზრუნველყოფისათვის, ტანკერისა და ტვირთის უვნებლად დაცვისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას.

საბჭოთა მთავრობა, ადასტურებს რა თავის 24 ივნისის ნოტას, პროტესტს უცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას იმის გამო, რომ გრძელდება საბჭოთა ტანკერ „ტუაფსეს“ დაკავება, და მოითხოვს დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი აღნიშნული ტანკერის, მისი ეკიპაჟისა და ტვირთის განსათავისუფლებლად. საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სათანადო ღონისძიებებს განახორციელებს, რათა აღკვეთოს მომავალში ასეთი უკანონო მოქმედება, რომელიც უხეშად არღვევს ნაოსნობის თავისუფლებას ღია ზღვაში.

ამასთანავე, საბჭოთა მთავრობა უფლებას იტოვებს მოსთხოვოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას იმ ზარალის ანაზღაურება, რაც საბჭოთა კავშირს მიაყენეს ტანკერ „ტუაფსეს“ მოტაცებასთან დაკავშირებით.

1 ივლისიდან საქართველოში დაიწყო წიგნის ერთთვიური. **სურათზე:** წიგნის ბაზარი ქ. თბილისის ლენინის მოედანზე საქწიგნის № 6 მაღაზიასთან.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

დამთავრდა გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში

30 ივნისს დამთავრდა საზაფხულო საგამოცდო სესიები უმაღლეს სასწავლებლებში. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წელს გამოცდები ჩაბარა 4.208 კაცმა. აქედან განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები გამოამჟღავნეს იურიდიულ, ფილოსოფიის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტების სტუდენტებმა.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ, მებაღეობა-მევენახეობის, მექანიზაციის, მეაბრეშუმეობის, ტექნოლოგიის, ჰიდრო-მელიორაციის და სხვა ფაკულტეტებზე წელს გამოცდებს აბარებდა 2.095 ახალგაზრდა. მალე ისინი გაეგზავნებიან სასწავლო და საწარმოო პრაქტიკაზე ჩვენი ქვეყნის საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში.

საქართველოს ზოოტექნიკურ-საცეტერინარო ინსტიტუტის ზოოტექნიკის ფაკულტეტზე წელს საზაფხულო სესიები მიმდინარეობდა პირველ სამ კურსზე, ხოლო მე-4 კურსის 125 სტუდენტი უკვე საწარმოო პრაქტიკაზეა კრასნოდარის მხარეში.

საზაფხულო სესიები დამთავრდა თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში და დედაქალაქის სხვა ინსტიტუტებში.

გუშინ სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და ტექნიკუმების მოსწავლეთა სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით გაიმართა დიდი სეირნობა.

ავტომძღოლთა სკოლებში

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატაკილების სამინისტროს ავტოსკოლებში გადავიდნენ ავტომძღოლთა კადრების მომზადებაზე ახალი სასწავლო პროგრამის მიხედვით. ამ პროგრამაში იქნა ადგილი აქვს დათმობილი პრაქტიკულ მეცადინეობას.

ახალი პროგრამით სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით წარმოებს სასწავლო კაბინეტების მოწყობილობის გადაკეთება და შევსება. სამინისტროს თვალსაჩინო ხელსაწყოდ გამოჰყო „პობედის“, „გაზ-51“ და „ზის-150“ მარკის ავტომანქანების აგრეგატები და ჭრილები.

ყურადღება სურამის კეთილმოწყობას

სურამის ჯანსაღი ჰავა და ლამაზი მდებარეობა მრავალ დამსვენებელს იზიდავს. ზაფხულობით აქ ათასობით მოაგარაკე ჩამოდის. განსაკუთრებით ბევრია ბავშვები: ყოველწლიურად ეწყობა პიონერთა ბანაკები, ჩამოჰყავთ საბავშვო ბაღებისა და ბაგების აღსაზრდელები.

წელს სურამის სადაბო საბჭომ სეროზული სამუშაოები შეასრულა კურორტის მოსამზადებლად ზაფხულის სეზონისათვის. 900 გრძივ მეტრზე მოიხრეშა კომკავშირის ხახელობის ქუჩა, მიმდინარეობს სანაპირო ქუჩის კეთილმოწყობა. გზებისა და ქუჩების გაყოლებით დაირგო წიწვიან და ფოთლოვან მცენარეთა ნერგები, ბუჩქები, სკვერებსა და გაზონებში გაშენდა ყვავილები. ბანოსა და სასტუმროს კაპიტალური რემონტი გაუკეთდა.

უკვე დაიწყო მოაგარაკეთა მასობრივი ჩამოსვლა. 5 მაისს დამსვენებელთა პირველი პარტია მიიღო სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის სურამის დასასვენებელმა სახლმა. სახლის დირექცია კარგად მოემზადა სეზონისათვის. მაღალხარისხოვნად შეკეთდა ყველა კორპუსი, გაფართოვდა მეორე კორპუსი და ბიბლიოთეკა. შეძენილ იქნა რბილი და მაგარი ინვენტარი. დასასვენებელი სახლის ეზო გამშვენიერდა ყვავილებითა და ნარგავებით. მოეწყო საცურავი აუზი. სეზონი დაიწყო საკავშირო პროფსაბჭოს სანატორიუმში და კურორტთა მთავარი სამმართველოს ბავშვთა სანატორიუმშიც.

მაინც ბევრია ნაკლი, რომელთა გამოსწორებისათვის სასწრაფო ღონისძიებანი უნდა მიიღონ როგორც სურამის სადაბო საბჭომ, ისე კურორტთა მთავარი სამმართველოსა და იმ ორგანიზაციებმა, რომლებსაც თავიანთი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლები აქვთ სურამში. შარშან ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სანიტარულმა სამსახურმა სურამში ააგო ბავშვთა სანატორიუმი. მშენებლობა ისე დაბალხარისხოვნად შესრულდა, რომ ზამთრის პერიოდში სახურავში წყალი ჩამოდიოდა და ჭერსა და კედლებს აზიანებდა. წელს ამ სანატორიუმში სეზონისათვის მზადება დაგვიანებით დამთავრდა.

არის სხვა ნაკლოვანებებიც. მოუწყობელია სურამის საკოლმეურნეო ბაზარი, არ არის მაგიდები, ამიტომ ხშირად პროდუქტები პირდაპირ მიწაზე აწყვია. ბაზარში უსუფთაობაა.

სურამში ხაშურის რაიკომკავშირს გახსნილი აქვს სასადილო. იგი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ხშირად უგემური და დაბალხარისხოვანი კერძები მზადდება. დაცული არ არის სისუფთავე. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ რაიკომკავშირმა სასადილოს რემონტი დაიწყო ახლა, როცა კურორტზე მასობრივად ჩამოდიან დამსვენებლები.

სურამში საშენი სილის კარიერია. სილით დატვირთული მანქანები დაბის ცენტრში გადიან. ხმაურს გარდა, მათი მოძრაობის დროს ქუჩებში მტვერი დგება. ეს ხელს უშლის მოაგარაკეთა ნორმალურ დასვენებას. მანქანების მოძრაობის გადატანა ადვილად შეიძლება სხვა მიმართულებით, კარიერის უფროსი რომ არ ჯიუტობდეს და სურამის სადაბო საბჭოს კანონიერ მოთხოვნას ანგარიშს უწევდეს.

არადამაკმაყოფილებელია დამსვენებელთა ავტოტრანსპორტით მომსახურებაც. ხაშურიდან სურამში დამსვენებელთა გადასაყვანად გამოყოფილი ორი ავტობუსი და სამი ტაქსი მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ამასთან ავტობუსები შეფერხებით მუშაობენ. მგზავრების ჩასხდომის დროს უწესრიგობაა. შოფერებს ნორმით გათვალისწინებულზე ორჯერ მეტი მგზავრი მიჰყავთ. უპატიოსნოდ მუშაობენ ტაქსის მძღოლები.

კურორტთა მთავარი სამმართველოს ყურადღებას მივაქცევთ დამსვენებელთათვის ერთ საინტერესო საკითხს. ეს არის ფეხბურთის სტადიონის მშენებლობა. იგი 1949 წელს დაიწყო. და მოელი მუშაობა იმით ამოიწურა, რომ მოედანს ქვის გალავანი შემოავლეს. დარჩა შედარებით ადვილი სამუშაოები, რომელთა დამთავრებას დღემდე არაფერი ეშველა.

ყველა ეს ნაკლი ადვილად შეიძლება გამოსწორდეს. საჭიროა მხოლოდ მეტი დაინტერესება და მოქნილობა მუშაობაში.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი“.

ღვოვის თოჯინების თეატრის გასვლითები თბილისში

12 ივნისიდან [illegible] ყოფილ ლენინის ... ლენინის ... ლად უკავია სასტატო ადგილი საბჭოთა კავშირის თოჯინების თეატრებს შორის. ამ თეატრში თოჯინების მოძრაობის კულტურა და ტექნიკა მაღალ დონეზეა, რაც მსახიობებისა და რეჟისურის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე თეატრის მთავარ რეჟისორ ა. მაცკევიჩს. მაღალი პროფესიული შესრულებით გამოირჩევიან მსახიობები: ი. კოხანნაია, ო. ტარასიევა, ვ. კოსოვი, ნ. კოხანნაია, ი. სერანტი, ბ. გორბონიჩი, ვ. ხარმაცი და სხვები.

ცნობილია ის დიდი როლი, რომელიც თოჯინების თეატრში აკისრია სკულპტორს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ სკულპტორ კრივეიჩის მიერ დიდი მზატვრული გემოვნებით არის შესრულებული თოჯინები ნიჭიერი მხატვრის ს. სტეშენკოს ესკიზების მიხედვით.

სპექტაკლების ანსამბლურობას და ემოციურობას ხელს უწყობს აკომპანიატორ ი. გოშოვსკაიას კარგი მუსიკალური თანხლება. აღსანიშნავი მექანიზატორ გნატოვსკის კარგი ნაშუშევარი.

თეატრის რუსულმა ჯგუფმა თბილისში საგასტროლო რეპერტუარად ჩამოიტანა სამი სიუჟეთური დადგმა: ტ. გაბეს „ზოლუშკა“, ვ. მატვეევის „ჯადოქრული კალმი“ და ს. სოლოგუბის „ჩვილი გულის ბრალია“.

თეატრმა სპექტაკლები გამართა ფილარმონიის საზამთრო და საზაფხულო თეატრებში, ოფიცერთა სახლის საზაფხულო თეატრში, ბორკის სახელობისა და პიონერთა პარკებში, აგრეთვე გორში.

თეატრი საქართველოში დარჩება 15 ივლისამდე. ეგი ნორჩ მაყურებელთათვის სპექტაკლებს გამართავს კოჯორში, სურამში და ბორჯომის ხეობაში არსებულ პიონერთა ბანაკებში.

როგორც ჩვენთან საუბარში თეატრის დირექტორმა და რეჟისორმა ვ. ს. ჩომახიძემ განაცხადა, 25 ივლისიდან 1 სექტემბრამდე თბილისს ეწვევა ამ თეატრის უკრაინული ჯგუფიც.

ვ. ძნელაძე.

მზადება რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მიმდინარეობს მზადება მხატვრული თვითმოქმედების ადგილობრივი დათვალიერებისა და მე-8 რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარმა სამმართველომ ოლიმპიადისათვის მზადების დღეებში თბილისში მოაწყო მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების ხელმძღვანელთა გადასამზადებელი კურსები, რომლებზეც კვალიფიკაცია აიმაღლა რესპუბლიკის საკლუბო დაწესებულებათა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების 180 ხელმძღვანელმა.

ამავე სამმართველომ საგუნდო წრეებისათვის მოამზადა სიმღერათა კრებული, რომელშიც შედის ხალხური და საბჭოთა კომპოზიტორების 80 სიმღერა. გამდიდრდა დრამატული წრეების რეპერტუარი. მათთვის შეძენილია 13 ახალი პიესა და სკეტჩი. მათ შორის აღსანიშნავია ა. აფხაიძის „ისე როდემდე“, ა. აბშილავის „ჩვენ გავიმარჯვებთ“, კეკელიძის და ხარსკის — „ორი სისტემა“; რუსულიდან ითარგმნა 9 პიესა.

ადგილებზე იგზავნებიან კომპოზიტორები თვითმოქმედი კოლექტივებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა დასახმარებლად და კონსულტაციის გასაწევად.

მაყურებელს მეტი მაღალხარისხოვანი კინოჟურნალები

კინოპერიოდიკა ჩვენი ხალხის ყოფაცხოვრების, შრომითი მამაცობისა და წინსვლის უტყუარი მოამბეა. ამიტომ აინტერესებს საბჭოთა მაყურებელს ახალი კინოჟურნალების ნახვა და აღელვება მათი ავკარგი.

კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები კარგად იცობენ, თვეში სამჯერ გამოდის.

წელს გამოშვებული კინოჟურნალებიდან თემების მრავალფეროვნებით, ცალკეული სიუჟეტების ორიგინალური გადაღებით და ახალი ამბების დროულად ასახვით გამოირჩევიან „საბჭოთა საქართველო“ №№ 3, 5 (რეჟისორი შ. ხომერიკი), 7, 18 (რეჟისორი ო. ჭიაურელი), 8, 17 (რეჟისორი ვ. ალავიძე), 13, 16 (რეჟისორი ა. მამულაშვილი); კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს თემატიკური კინოჟურნალი № 15 (რეჟისორი შ. ჩაგუნავა), რომელიც ასახავს საპირველმაისო ზეიმს თბილისში.

აღსანიშნავია კინოოპერატორებს მიერ კარგად გაარჩევენი და ჩინებულად გადაღებული შემდეგი სიუჟეტები: „ლენინის საქმე უკვდავია“ (ოპერატორები ა. აჯიბეგოშვილი, ა. სემენოვი), „ახალი მიწების ათვისება“, „ავიაციის სოფლის მეურნეობას“ (ოპერატორი ნ. ნაგორნი), „სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატი“ (ოპერატორები გ. ასათიანი, ლ. არზუმანოვი, შ. შიოშვილი), „ქართული ხალიჩა“, „რკინიგზელი ბ. კოხრეიძე“ (ოპერატორი შ. შიოშვილი), „თბილისის ზღვაზე“ (ოპერატორი ო. დეკანოსიძე) და სხვები.

დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას ტოვებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი სიუჟეტები.

კინოჟურნალებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ხალხთა მეგობრობის თემას. ოპერატორების გ. ასათიანისა და ლ. არზუმანოვის მიერ გადაღებული ვრცელი სიუჟეტი „მეგობრების შეხვედრა“ მაყურებელს მოუთხრობს ნახარაძის რაიონის სოფელ შრომის და უკრაინის გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეთა ურღვევი მეგობრობის შესახებ, რომლებმაც მიმდინარე წელს მეთექვსმეტეჯერ მოაწერეს ხელი სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს მიეძღვნა მოტოგადარბენა „თბილისი-კიევი“. იგი დაიწყო 10 იანვარს თბილისის ლენინის სახელობის მოედნიდან. საბჭოთა სპორტსმენებმა ზამთრის ძნელ პირობებში 2.000 კილომეტრი 9 დღეში გაიარეს. ამ ხნის განმავლობაში მოტოგადარბენის მონაწილეებს ახლდათ ოპერატორი ბ. კრეპსი და ოპერატორის ასისტენტი ა. პოლოსოვი, რომლებმაც ფირზე ასახეს ეს საინტერესო მარშრუტი, კიეველებთან შეხვედრის მღელვარე მომენტი.

ნათელი ფერებით არის გადაღებული სიუჟეტი „დიდი რუსი მწერლის ხსოვნას“ (ოპერატორებ ლ. არზუმანოვი, ო. დეკანოსიძე), რომელიც ასახავს ალექსანდრე გრიბოედოვის დაღუპვის 125 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ ხალხმრავალ მიტინგს ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

კინოჟურნალებში ფართოდ არის გაშუქებული ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ნიდწევები. ამ მხრივ აღსანიშნავია სიუჟეტი „სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის“(ოპერატორი ო. დეკანოსიძე). მაყურებელი ეცნობა ზოძმე რესპუბლიკების მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორების მეცადინეობას ექვსთვიან კურსებზე. მსმენელები ჯერ ლაბორატორიულ, ხოლო შემდეგ მინდვრის პირობებში ეცნობიან კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი წესით სარგავი მანქანების მუშაობას.

სიუჟეტი „ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის“ (ოპერატორი შ. შიოშვილი) და „მოწინავე მტს-ი“ (ოპერატორი ო. დეკანოსიძე) მაყურებელს მოუთხრობს ქუთაისის და დიღმის მტს-ების მოწინავე მუშების შრომითი მამაცობის შესახებ.

სოფლის მეურნეობის საგაზაფხულო მუშაობის საინტერესო ეპიზოდებს ასახავენ სიუჟეტები „საგზაფხულ ველზე“, „სიმინდის თესვა“, „სიმინდის კულტივაცია“, „მებოსტნეობა“ და სხვ. „იალაღებისაკენ“ და „მეფრინველეობის აღმავლობისათვის“ მაყურებელს აცნობს მოწინავე მეცხოველეთა და მეფრინველეთა ნაყოფიერ მუშაობას. „პატრიოტული ინიციატივა“ ასახავს ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად საქართველოდან კომკავშირელთა გამგზავრების ეპიზოდებს.

მოკლე დროში გამოვა რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმის ამსახველი მოკლემეტრაჟიანი კინოფილი.

მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებენ ჟურნალებში ასახული სპორტული ამბები: „კოლმეურნე მოთხოლამურეთა შეჯიბრება“, „ბაკურიანის ფერდობებზე“, „პირადი პირველობა ტანვარჯაშში“ და სხვ.

მართალია, ჩამოთვლილი სიუჟეტებით არ ამოწურავდა კინოჟურნალების თემატიკა, მაგრამ მათში მაინც იგრძნობა საწარმოო ხასიათის სიუჟეტების სიმცირე. ჟურნალებში ვერ შეხვდებით ყოფაცხოვრების ამსახველ სიუჟეტებსაც. მეტ წილ შემთხვევებში კინოქრონიკის შემოქმედებითი მუშაკები თბილისს და თბილისის მახლობელ რაიონებს არ სცილდებიან. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ისინი სიძნელეებს გაურბიან და შორეულ რაიონებს ერიდებიან.

ოპერატორების მუშაობაში ჯერ კიდევ იგრძნობა შტამპი და ტრაფარეტი. მაგალითად, „ბარეშუმის კომბინატი“ გადაღებულია ქუთაისში, „მოწინავე მჭყოველი“ თბილისში, მაგრამ ერთ თემაზე გადაღებული ორი სიუჟეტი შინაარსობრივი გადაწყვეტით ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით არ განსხვავდება. ასევე ტრაფარეტულად არის გადაღებული „სეზონური ფეხსაცმელი“, „მოწინავე ფერმა“, „ენისლის სახელოსნო სასწავლებელი“ და ზოგიერთი სხვა სიუჟეტი.

ჟურნალები გადატვირთულია სხვადასხვაგვარი „კრების“ ჩვენებით. ცხადია, სჯობს შეტანებითი ხასიათის სიუჟეტების გადაღება, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებენ აქტუალობას.

რეჟისორებს მეტი მუშაობა მართებთ მონტაჟის ხარისხის ასამაღლებლად. მაგალითად, სიუჟეტი „კეთილმოწყობილი სადგური“ დამონტაჟებულია არალოგიკურად. „დიღმის მტს-ის“ პირველი ნაწილი გადატვირთულია ზედმეტი დეტალებით, ხოლო მეორე ნაწილი ზედმეტად განტვირთულია საჭირო კადრებისაგან.

კინოჟურნალების მუსიკა ღარიბია. ბევრ შემთხვევაში სადიქტორო ტექსტები სუსტია. დამაკმაყოფილებელი არ არის ჟურნალების გრაფიკული გაფორმებაც. გარდა ამისა, კინოჟურნალების გამოშვება ხშირად გვიანდება.

კინოქრონიკის ხელმძღვანელობამ, პარტიულმა ორგანიზაციამ და რედაქციამ შემოქმედებითს კოლექტივთან მჭიდრო კავშირში, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის საფუძველზე უნდა აღმოიფხვრან მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და კიდევ უფრო აამაღლონ კინოჟურნალების იდეური და მხატვრული ხარისხი.

ვ. გაგუა,
კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ქრონიკის სექტორის უფროსი.

თელავში კინოთეატრს აშენებენ

თელავი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ თელავში დაიწყო კინოთეატრის მშენებლობა. თეატრს ექნება ზამთრისა და ზაფხულის დარბაზები, რომლებიც 700 კაცს დაიტევს.

კინოთეატრის მშენებლობა, რაზეც 1.450.000 მანეთი დაიხარჯება, 1955 წელს დამთავრდება.

კაპიტალისტური სამყარო ამერიკის სამხედრო ბაზების ქსელში

ამერიკის იმპერიალიზმის სტრატეგიის თავისებურება ის არის, რომ მისი მესვეურები თავიანთ გეგმებს ადგენენ ამ ვარაუდით, რათა გამოიყენონ სხვისი ტერიტორიები და სხვისი არმიები.

ამ ავანტიურისტული სტრატეგიის საფუძველზე ამერიკელმა იმპერიალისტებმა უკვე რამდენიმე ასეული სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზა შექმნეს მსოფლიოს 49 ქვეყანაში და ახლა ცდილობენ მოახდინონ კაპიტალისტური მსოფლიოს მთელი ძალების მობილიზაცია სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის წინააღმდეგ აგრესიული ომის გასაჩაღებლად.

პენტაგონის ოფიციალური წარმომადგენლების აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების ეგრეთწოდებულ „თავდაცვის ზონის“ მთელი კაპიტალისტური მსოფლიო განეკუთვნება. მათი სტრატეგიული რუკების მიხედვით, ამ ზონაში შედის მთელი დასავლეთი ნახევარსფერო, დასავლეთ ევროპის დიდი ნაწილი, ჩრდილოეთი აფრიკა, ახლო და შუა აღმოსავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, წყნარი ოკეანის აუზი, ჩრდილოეთი პოლუსის მიდამოები... პენტაგონელთა თავხედობა იქამდე მიდის, რომ ისინი სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ევროპის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სახმელეთო და საზღვაო სახელმწიფო საზღვრებსაც შეერთებული შტატების „თავდაცვით ზონად“ აცხადებენ.

მთელ მსოფლიოში მიმობნეული სამხედრო-სტრატეგიული ბაზების ამ უზარმაზარი ქსელის მოწყობას, მომარაგებას და შეიარაღებას მილიარდობით დოლარი ესაჭიროება, მაგრამ ამერიკელი მონოპოლისტები ამ ხარჯებს არ გაურბიან, პირიქით, კოლოსალური მოგების წყაროდ იყენებენ. საუბრელთან, სურასათით, საწვავ მასალით სამხედრო-სტრატეგიული ბაზების მომარაგების საქმე ამერიკელი მონოპოლისტების ხელშია. ისინი ბაზების მშენებლობაში ფართოდ იყენებენ იაფ მუშახელს — არმიას და ადგილობრივ მოსახლეობას, უხეშად ერევიან სხვა ქვეყნების როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებში, კიდევ უფრო ამწვავებენ საერთაშორისო დაძაბულობას, რითაც ცდილობენ უზრუნველყონ პირობები მაქსიმალური მოგების მიღებისათვის.

სამხედრო-სტრატეგიული ბაზების მშენებლობის ამერიკულმა პოლიტიკამ განსაკუთრებულ გაქანებას ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული კავშირის შექმნის შემდეგ მიაღწია. ვაშინგტონელი სტრატეგებისათვის ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკი ევროპის, აფრიკის და აზიის ქვეყნების ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების ქსელის შექმნის იურიდიულ საფუძვლად გადაიქცა. ისინი ატლანტიკის კავშირის და ამ კავშირის ფილიალების მიზნების განხორციელებაში თავიანთ უმთავრეს მოკავშირედ სტრატეგიულ დაბომბვას თვლიან და ამიტომ დაჟინებით მოითხოვენ ტერიტორიას სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის გარშემო ახალ-ახალი ბაზების მშენებლობისათვის.

ამერიკელმა იმპერიალისტებმა უკვე მრავალი სამხედრო-საჰაერო ბაზა შექმნეს როგორც დასავლეთ ევროპაში სკანდინავიიდან ესპანეთამდე, ისე ამერიკის კონტინენტის თელ აღმოსავლეთ სანაპიროზე, რითაც ატლანტის ოკეანე, როგორც ამას თვითონვე აცხადებენ, შეერთებული შტატების სამხედრო-სტრატეგიული ბაზების რკალში მოექცა. მარტო დასავლეთ ევროპაში სკანდინავიიდან ესპანეთამდე ამჟამად შექმნილია მძიმე ბომბდამშენთა 150-ზე მეტი სპეციალური საავიაციო ბაზა, რომელთაგან თითქმის მეოთხედი დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზეა.

სამხედრო-სტრატეგიული ბაზების გაცხოველებული მშენებლობა წარმოებს ფრანკისტულ ესპანეთშიც. ესპანეთთან დადებული სამხედრო შეთანხმების მიხედვით, ამერიკელები სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზების მშენებლობას შეუდგნენ ესპანეთის მთავარ ნავსადგურებსა და ცენტრალურ ქალაქებში. განსაკუთრებით დიდია ასეთი მშენებლობის მასშტაბი მადრიდში, ბარსელონაში, სევილიაში, აგრეთვე ესპანეთის სამხრეთ სანაპიროზე. ამერიკელების აზრით, ესპანეთის ტერიტორია უნდა გადაიქცეს ჩრდილოეთ აფრიკაში არსებულ სამხედრო ბაზებთან დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ბაზების ერთ-ერთ მთავარ დამაკავშირებელ რგოლად.

ითვალისწინებდნენ რა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან და სსრ კავშირთან საბერძნეთისა და თურქეთის ტერიტორიულ სიახლოვეს, ამერიკელებმა ეს ქვეყნები ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიულ კავშირში შეიყვანეს და მათი ტერიტორია ერთ-ერთ ცენტრალურ რგოლად გადაქცეს სამხედრო-საჰაერო ბაზების სისტემაში.

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით ამერიკის იმპერიალიზმი აწყობს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ერთგვარ ფილიალს — ეგრეთწოდებულ „შუა აღმოსავლეთის სარდლობას“, რომელშიც უნდა შევიდნენ ქვეყნები: ეგვიპტე, სირია, ლიბანი, ერაყი, საუდის არაბეთი, იემენი, ისრაელი. ამ ქვეყნებში უკვე შექმნილია რამდენიმე საკმაოდ დიდი სამხედრო-საჰაერო ბაზა, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა სპარსეთის ყურესთან მოწყობილი უდიდესი სამხედრო სიმაგრე, მძიმე ბომბდამშენთა ბაზა დახრანში.

„შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ ფარგლების გაფართოების მიზნით, ვაშინგტონელმა პოლიტიკოსებმა უკანასკნელ დროს განსაკუთრებით გააძლიერეს მისწრაფება ისეთი ქვეყნებისაკენ, როგორიც არიან ირანი, ავღანეთი და პაკისტანი. ისინი მოლაპარაკებას აწარმოებენ პაკისტანთან სამხედრო ხელშეკრულების დასადებად. მათივე დავალებით პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრი ზაფრულა-ხანი გაიგზავნა ირანში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებზე წინასწარი მოლაპარაკების მიზნით.

1950 წლიდან ამერიკელი იმპერიალისტები ქმნიან ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკის დამატებას — ეგრეთწოდებულ წყნარი ოკეანის კავშირს. სამი ქვეყნის — შეერთებული შტატების, ავსტრალიის კავშირისა და ახალი ზელანდიის თავდაპირველი შეთანხმება მიჩნეულ იქნა იმ ფართო აგრესიული კავშირის შექმნის წინაპირობად, რომელიც ამერიკელთა ინიციატივით მზადდება და რომელშიც შეუვალ იქნება ფილიპინები, ინდონეზია, იაპონია.

წყნარი ოკეანის კუნძულების საკმაოდ დიდი ნაწილი უკვე სამხედრო-საჰაერო ბაზებად არის გადაქცეული. მსხვილ სამხედრო-საჰაერო და საზღვაო ბაზებს წარმოადგენენ კუნძული ჯონსტონი, კუნძული მიდუეი, გუამის კუნძული. დიდი მუშაობა გაჩაღებული ჰავაის კუნძულებზე სამხედრო სიმაგრეების ასაგებად. სამხედრო ბაზებით დაფარულია ალეუტის კუნძულები, ფილიპინები და იაპონია. ეს უკანასკნელი შორეულ აღმოსავლეთში, ისევე როგორც ინგლისი დასავლეთ ევროპაში, შეერთებული შტატების ჩაუძირავ ავიოსნად არის გადაქცეული.

ამერიკული პროპაგანდა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანის მიზნით ამტკიცებს, რომ შეერთებული შტატების საომარი მზადება თავდაცვისა და საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების საქმეს ემსახურება. მაგრამ ამერიკელ იმპერიალისტთა ამგვარი განცხადებანი რომ მხოლოდ ცარიელი ფრაზაა და რომ მათ სინამდვილესთან საერთო არა აქვთ რა, ამას კარგად ხედავს მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.

ვის ეშინია ამერიკელთა მიერ მსოფლიოს 49 ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილი ხუთასამდე სამხედრო-სტრატეგიული ბაზა? მხოლოდ სს

ჩინეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 33-ე წლისთავი

შანხაი, 1 ივლისი. (საკდესი). დღეს ჩინელი ხალხი აღნიშნავს ჩინეთის კომუნისტური პარტიის დაარსების 33-ე წლისთავს. გაზეთები იუწყებიან, რომ ჩინელ მშრომელთათვის ეს ლრმაწესანიშნავი თარიღი გამოხმაურებას პოულობს ჩინეთის ყველა ქალაქსა და სოფელში. მუშები და გლეხები კომუნისტური პარტიის მოღვაწეობას უკავშირებენ ახალი ცხოვრების მშენებლობაში მოპოვებულ თავიანთ უმნიშვნელოვანეს შრომითს მიღწევებსა და წარმატებებს.

მენდეს-ფრანსის მოლაპარაკება სპაკთან

პარიზი, 1 ივლისი. (საკდესი). გუშინ დამთავრდა ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრის სპაადის მოლაპარაკება საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრ მენდეს-ფრანსთან „ევროპის არმიის“ საკითხზე.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ ორივე მინისტრი „შეთანხმდა იმაზე, რომ საჭიროა მოწვეულ იქნას იმ ქვეყნების თათბირი, რომლებზეც ვრცელდება პარიზის ხელშეკრულება, როგორც კი საფრანგეთის მთავრობა გაარკვევს თავის პოზიციას... და მანამდე, სანამ ეროვნულ კრებას მიმართავენ წინადადებით — გაამოთქვას აზრი ამ საკითხზე“.

ასიათასიანი მიჯნგი სუმაჯრაზე

ჯაკარტა, 1 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „ხარიან რაკიატი“ იუწყება, რომ ქალაქ ბუკიტნგში (ცენტრალური სუმატრა) გაიმართა წინასაარჩევნო მიტინგი, რომელზეც შეიკრიბა 100 ათასზე მეტი კაცი — მუშები გლეხები და ინტელიგენციის წარმომადგენლები. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ინდონეზიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა აიდიტმა. მან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ერთიანობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას და მოიუწოდა მაშუმის პარტიისა და სოციალისტური პარტიის წევრებს ხალხთან ერთად იბრძოლონ სრული ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

აიდიტმა აღნიშნა, რომ ცენტრალურ სუმატრაში კომუნისტებმა და მუსლიმანური პარტიების წევრებმა უცხოელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ ერთად ბრძოლით ნამდვილ ურთიერთგაგებას მიაღწიეს. ჩვენ ყველანი, თქვა აიდიტმა, მზარს ვუმერთ სასტრომიჯოიის მთავრობას ჰოლანდია-ინდონეზიის კავშირის და კაბალურ შეთანხმებათა ლიკვიდაციის საქმეში. ის მოგება, რასაც ჰოლანდიელები აქ იღებენ, საკმარისია იმისათვის, რომ თვითეულმა გლეხმა თითო ძროხა იყიდოს ყოველ წელიწადს. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ჰოლანდიელები ყოველწლიურად თითო ძროხას პირავენ თითო კომლ გლეხს. ამიტომ ამ შეთანხმებათა ლიკვიდაცია მთელი ხალხის მოთხოვნა გახდა.

საომარი მოქმედება ვიეტნამში

პარიზი, 1 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ინდოჩინეთში საფრანგეთის ჯარების უმაღლესმა სარდლობამ გამოაცხადა, რომ საფრანგეთის ჯარებმა დაიწყეს წითელი მდინარის დელტის სამხრეთი ნაწილის ევაკუაცია.

წითელი მდინარის დელტის სამხრეთი ნაწილი ჩრდილოეთ ვიეტნამის დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული და ბრინჯის მომყანი რაიონია, აქვს 4.000 კვადრატული კილომეტრი ფართობი და მისი მოსახლეობა დაახლოებით ორ მილიონს შეადგენს. ამ რაიონში არის მთელი რიგი დიდი ქალაქები, ისეთები, როგორც ნამ-დინი, ნინ-ბინი, ფატ-დიემი, ლაკ-ჯანი და სხვ. ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილები და პარტიზანები უკვე დიდი ხანია აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ ამ რაიონში.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილებმა 30 ივნისს ბრძოლით დაიკავეს ქალაქი ფატ-დიემი.

საფრანგეთის ჯარები უკან იხევენ ხანოისა და ხაიფონის რაიონისაკენ. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, ხანოიში მეტად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. ფრანგთა გარნიზონის ნაწილება გამზადებული არიან სამაგრად, ფრანგების ტანკები პატრულობენ ქალაქის ქუჩებს.

ინდოეთის პრესა ჯოუ ენ-ლაისა და ნერუს მოლაპარაკების შესახებ

დელი, 2 ივლისი. (საკდესი). როგორც ინდოეთის საინფორმაციო ბიურო იუწყება, გაზეთი „ნეიშნლ ჰერალდი“, ახასიათებს რა ნერუს და ჯოუ ენ-ლაის მოლაპარაკებას როგორც ისტორიულ მოვლენას, წერს: „ეს მოლაპარაკება აზიის ისტორიაში ახალი ხანის გარიჟრაჟია... დელში სამი დღის მოლაპარაკებამ გამოავლინა, რომ საოცრად ჰგავს ერთმანეთს აზიის ორი უდიდესი ქვეყნის შეხედულებანი ინდოჩინეთსა და მთელ აზიაში მშვიდობის საკითხზე“.

შემდეგ გაზეთი, ეხება რა ჯოუ ენ-ლაის განცხადებას, რომ დასავლეთს „აღარ შეუძლია გადაწყვიტოს აზიის ხალხთა ბედი“, წერს: „სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მშვიდობის დაცვაში ყველაზე დიდმნიშვნელოვანი როლი აზიის ხალხებმა უნდა შეასრულონ... ინდოეთისა და ჩინეთის მეგობრობა შეიძლება უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყოს აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისათვის“.

გაზეთი დასასრულ ეხება წინადადებებს, რომ შეიქმნას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში თავდაცვითი ორგანიზაცია, რომელიც, იდენის განცხადების მიხედვით, „სავსებით ქმედითი არ იქნება, თუ აზიის ქვეყნებმა არ გამოიჩინეს კეთილი ნება და თანამშრომლობა“, და აღნიშნავს: „აზიის თავისუფალ ქვეყნებს და ყოველ შემთხვევაში კოლომბოს თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა უმეტესობას საერთო არაფერი ექნებათ ამ ორგანიზაციასთან, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზანს ისახავს იგი — იყოს „ბომბალი გარანტია“ თუ ახლანდელი „პანაცეა“.

გაზეთი „ჰინდუ“ წერს: „ჩინეთისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრების მიერ დელში გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეს მთელ მსოფლიოში მიესალმებიან ისინი, ვისაც სურს, რომ ბოლო მოეღოს კონფლიქტს აზიაში“. „ჩვენ ჩინეთის ან რომელიმე სხვა ქვეყნის საშინაო პოლიტიკა ხელს არ გვიშლის, — განაგრძობს გაზეთი. — ჩვენ გვწამს, რომ სხვადასხვა ქვეყნის მშვიდობიანი თანაარსებობა შესაძლებელია, რამდენადაც თვითეული ქვეყანა არ ჩაერევა სხვა ქვეყნის საქმეებში. სამხედრო კავშირების შექმნა კი აძლიერებს ასეთი ჩარევის შესაძლებლობას“.

იაპონიაში დამთავრდა რეგულარული არმიის შექმნა

შანხაი, 1 ივლისი. (საკდესი). როგორც ტოკიოს რადიო იუწყება, 1 ივლისიდან, იაპონიის შეიარაღებული ძალების ახალი სტრუქტურისა და ფუნქციების შესახებ მთავრობის კანონშეროექტების თანახმად, რომელიც ამას წინათ მიიღო იაპონიის პარლამენტის რეაქციულმა უმრავლესობამ, იაპონიაში ოფიციალურად იქმნება „თავდაცვის ძალები“. ამასთან დაკავშირებით წინანდელ ეროვნული უშიშროების კორპუსს დაერქვება თავდაცვის კორპუსი, ხოლო საზღვაო უშიშროების კორპუსს — საზღვაო თავდაცვის კორპუსი. ამასთანავე ოფიციალურად იწყებს არსებობას იაპონიის საჰაერო თავდაცვის კორპუსი, რომლის ბირთვი ფაქტიურად შეიქმნა შესაბამისი კანონშეროექტის მიღებამდე დიდი ხნით ადრე. 1 ივლისიდან იაპონიის წინანდელი ეროვნული უშიშროების სამმართველო ერქმევა ეროვნული თავდაცვის სამმართველო, აგრეთვე მუშაობას იწყებს ორი ახლად შექმნილი სამხედრო ორგანო: ეროვნული თავდაცვის საბჭო (მინისტრთა კაბინეტთან) და ამერიკული ნიმუშის მიხედვით აგებული შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფი, რომელიც განახორციელებს ყველა გვარეობის ჯარების სარდლობას.

ამრიგად, იაპონიის სამხედრო მანქანის სტრუქტურას, მანქანისა, რომელიც მთელი უკანასკნელი წლების მანძილზე იქმნებოდა, საბოლოოდ მეეცა თანამედროვე რეგულარული შეიარაღებული ძალების ნიშნები.

ახლა იაპონიის ოფიციალურად ჰყავს სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალები, გენერალური შტაბი და სამხედრო სამინისტრო ეროვნული თავდაცვის სამმართველოს აპრით. უფრო მეტიც, ახალი კანონების შესაბამისად იაპონიის სამხედრო ფორმირებათა ფუნქციები ოფიციალურად ფართოვდება იაპონიაში „მშვიდობისა და წესრიგის“ დაცვიდან „საგარეო აგრესიის მოგერიებამდე“, რაც საბოლოოდ ამეღავნებს იაპონიის „თავდაცვის ძალების“ ნამდვილ ხასიათს.

ახალი ღონისძიებანი იაპონიის ხელახალი შეიარაღების საქმეში მჭიდროდ არის დაკავშირებული ამერიკა-იაპონიის 1954 წლის 8 მარტის „შეთანხმებასთან ურთიერთდაცვის უზრუნველყოფაში დახმარების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს იაპონიის არმიის სწრაფად გადიდებას.

სამხედრო მანქანის გარდაქმნასთან დაკავშირებით ოსიდას კაბინეტმა ახალი დანიშვნები მოახდინა. ეროვნული თავდაცვის სამმართველოს უფროსის (ფაქტიურად სამხედრო მინისტრი) პოსტზე დაინიშნა ტოკუტარო კიმურა, რომელიც დღემდე ეროვნული უშიშროების სამმართველოს უფროსი იყო. შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის თავმჯდომარედ დაინიშნა კეიძო ხიასი, იაპონიის შინაგან საქმეთა ყოფილი სამინისტროდან. სახმელეთო ჯარების სარდლობას სათავეში ჩაუდგება ტაკეო ეუეუი, წარსულში იაპონიის პოლიციის უფროსი სეულში. სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი იქნება კოგორო იამამაკი, იაპონიის სამხედრო საზღვაო უწყების ყოფილი დიდი თანამდებობის მოხელე. სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობას სათავეში ჩაუდგება კენტარო კამიშურა, წარსულში იაპონიის „სპეციალური პოლიციის“ უფროსი. იაპონიის ახალ შეიარაღებულ ძალებში ყველა მთავარი პოსტი ყოფილი მილიტარისტების ხელში აღმოჩნდა. გარდა ამისა, არმიის, ფლოტისა და ავიაციის პასუხსაგებ საკომანდო თანამდებობებზე დანიშნულია ბევრი სხვა ყოფილი კადრის ოფიცერი.

იაპონიაში თანამედროვე რეგულარული შეიარაღებული ძალების ოფიციალური შექმნა პირდაპირ ეწინააღმდეგება იაპონიის კონსტიტუციას, რომლითაც აკრძალულია ხელახალი შეიარაღება, და წარმოადგენს ახალ სერიოზულ ნაბიჯს იაპონიის რემილიტარიზაციის გზაზე.

დალესის სიტყვა რადიოთი

ნიუ-იორკი, 1 ივლისი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა რადიოთი სიტყვა წარმოთქვა და ცდილობდა გაემართლებინა გვატემალის წინააღმდეგ ინტერვენცია, რომელიც შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა მოაწყეს და განახორციელეს ამ მიზნით, რომ დაემხოთ გვატემალის კანონიერი მთავრობა და აღდგინათ გვატემალაში ამერიკელი იმპერიალისტების თვითნებობა „იუნაიტედ ფრუტ კომპანიის“ სახით.

ორატორი ცდილობდა ინტერვენცია და ინტერვენტთა რაზმების მეთაურის ამერიკის აგენტ არმასის დანაშაულებრივი საქმიანობა დაესახა სამოქალაქო ომად გვატემალაში.

დალესი არც სსრ კავშირის წინააღმდეგ ბოროტ ცილისწამებას მოერიდა, იგი უტიფრად ამტკიცებდა, თითქოს საბჭოთა კავშირი ეროდა გვატემალის საშინაო საქმეებში.

განსაკუთრებული სიძულვილით ილაპარაკა დალესმა გვატემალაში დემოკრატიული გარდაქმნების შესახებ, რომლებიც წინანდელი პრეზიდენტის არბენსის მთავრობამ განახორციელა, და ბრალად სდებდა გვატემალელ კომუნისტებს, რომ ისინი „გაბატონებული იყვნენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში და ავარიული რეფორმების პროგრამას ახორციელებდნენ“.

ორატორმა არაფრად ჩააგდო ის, რომ მთელმა მსოფლიომ იცის, თუ როგორ იბრძოდნენ გვატემალაში ამერიკელი მონოპოლისტების უღლის წინააღმდეგ არა მარტო კომუნისტები, არამედ მთელი გვატემალელი ხალხი, რასაც თანაუგრძნობდა და მხარს უჭერდა ლათინური ამერიკის ქვეყნების ფართო საზოგადოებრიობა.

თავის სიტყვაში დალესმა არაორაზროვნად განაცხადა, რომ გვატემალაში შეჭრა უშუალოდ დაკავშირებულია კარაკასში ამასწინანდელი ბანძერიკული კონფერენციის გადაწყვეტილებებთან. „კარაკასის კონფერენციამ, — განაცხადა მან, — დაიჩქარა დრამატული ამბების განვითარება“, ესე იგი ამერიკის ინტერვენციის გაჩაღება.

გვატემალის ამბები

ლონდონი, 1 ივლისი. (საკდესი). უცხოელ კორესპონდენტთა ცნობებიდან, რომლებიც გვატემალიდან მოდის, ჩანს, რომ სამხედრო ხუნტა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ტერორისტული მეთოდებით ჩაახშოს ხალხის მასების წინააღმდეგობა და განიმტკიცოს ძალაუფლება. აღვივებს ანტიკომუნისტურ ისტერიას, ხუნტა თავს ესხმის დემოკრატიულ პარტიებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ პრეზიდენტ არბენსის მთავრობას. გვატემალის დედაქალაქში მასობრივად აპატიმრებენ ხალხს.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, სამხედრო ხუნტის მთავარი დარტყმა მიმართულია სამოქალაქო მილიციის წინააღმდეგ, რომელიც არბენსის მთავრობამ შექმნა.

სხვა ცნობებიდან ჩანს, რომ სამხედრო ხუნტა, რომელმაც ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა, ხალხის მასების წინააღმდეგობას აწყდება. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, ესკუინტლის რაიონში (ქალაქ გვატემალის სამხრეთით დაახლოებით 50 კილომეტრზე) სოფლის მეურნეობის მუშათა ჯგუფები, რომლებსაც პროფკავშირული ლიდერი პელიესერი ხელმძღვანელობს, სანგრებს თხრიან და ემზადებიან წინააღმდეგობა გაუწიონ ჯარებს, რომლებსაც კონტროლს უწევს სამხედრო ხუნტა. ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ არა მთავრობის წყაროებიდან მიღებული ცნობებით, პუერტო-ბარიოსში „გააფთრებული ბრძოლებია“ სამხედრო ხუნტის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. გვატემალის სხვა რაიონებიდან იუწყებიან, რომ ჯარებსა და მოსახლეობას შორის შეტაკებები ხდება.

როგორც იუწყებიან, დროებით შეწყდა მოლაპარაკება დაზავებაზე, რომელიც სამხედრო ხუნტის წარმომადგენლებსა და ინტერვენციონისტთა ჯარების მეთაურ პოლკოვნიკ არმასს შორის 30 ივნისს დაიწყო სალვადორის დედაქალაქში. არავითარი გადაწყვეტილება არ გამოუტანიათ.

ამერიკის შეერთებული შტატები აძლიერებენ ზეგავლენას ინგლისზე

ვაშინგტონი, 1 ივლისი. (საკდესი). გუშინ ეაშინგტონში გაიმართა წყნარი ოკეანის აგრესიული კავშირის საბჭოს სხდომა. ამ კავშირში, შედიან ავსტრალია, ახალი ზელანდია და ამერიკის შეერთებული შტატები და მასში არ დაუშვეს ინგლისი.

საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა, ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კეზიმ და ახალი ზელანდიის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში მუნრომ.

სხდომის შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ თათბირის მონაწილეებმა განიხილეს „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მდგომარეობა“ ინგლის-ამერიკის ვაშინგტონის სულ ახლახან დამთავრებული მოლაპარაკების მიხედვით და შეთანხმდნენ, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ მოქმედება, რათა რაც შეიძლება მალე შეიქმნას კოლექტიური თავდაცვა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (დასავლეთის სახელმწიფოები ასე უწოდებენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის აგრესიულ პაქტს).

განცხადება, რომ საჭიროა განხორციელდეს „დაუყოვნებლივი მოქმედება“, რათა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შეიქმნას სამხედრო კავშირი (ამ განცხადებას შეიცავს კომუნიკე), როგორც ჩანს, მიზნად ისახავს დომინიონებისაგან ინგლისის იზოლაციის დამუქრებით აიძულონ ინგლისი შეცვალოს პოზიცია წყნარი ოკეანის პაქტის საკითხში.

ინგლისის გაზეთი მოსკოვის თოჯინების თეატრის გასტროლების შესახებ ლონდონში

ლონდონი, 2 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ფაინენშლ ტაიმსმა“ თეატრალური კრიტიკის განყოფილებაში მოათავსა რეცენზია მოსკოვის სახელმწიფო თოჯინების თეატრის სპექტაკლის შესახებ „2:0 ჩვენს სასარგებლოდ“.

რეცენზიის ავტორი აღტაცებულია სპექტაკლით. თოჯინები, წერს იგი, პირდაპირ განსაცვიფრებელი არიან. მსახიობთა ოსტატობა უაღრესად მაღალი ყბის ღირსია. თოჯინების მოძრაობანი და ოსტატური მართვა „ზოგჯერ პირდაპირ გასაოცარია“.

საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეები — მსოფლიოს ჩემპიონები

სპორტულ ტანვარჯიშში მსოფლიო პირველობაზე შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვებით. მათ პირველი ადგილები დაიკავეს როგორც გუნდურ, ისე პირად შეჯიბრებაში.

ვაუთა გუნდებს შორის სავალდებულო ნებისმიერი ვარჯიშის შემდეგ პირველი ადგილი დაიკავა სსრ კავშირის გუნდმა — 689,90 ქულა. შემდეგი ადგილები დაიკავეს იაპონიის, შვეიცარიის, დასავლეთ გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, უნგრეთისა და სხვა გუნდებმა.

ვაუთა შორის პირად პირველობაზე შეჯიბრებაში პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს საბჭოთა სპორტსმენებმა მურატოვმა და ჩუკარინმა, რომელთაგან თვითეულმა მოაგროვა 115,45 ქულა, მესამე ადგილი დაიკავა შაგინიანმა, მეოთხე — შახლინმა (ორივე სსრ კავშირი).

საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალების მიერ შეგროვილმა ქულებმა (524,13) ყველა ქვეყნის გუნდის მაჩვენებლებს გადააჭარბა. მათ პირველი ადგილი დაიკავეს.

დიდი წარმატება ხვდა მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტს გალინა რუდკოს, რომელმაც რვაჭიდში 75,68 ქულა შეაგროვა და სპორტულ ტანვარჯიშში მსოფლიოს ახსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ორი ოქროს მედალი მოიპოვა ლენინგრადელმა სპორტსმენმა თამარ მანინამ. თავისუფალ ვარჯიშში მან შეაგროვა 19,39 ქულა, ბჯენით ხტომაში — 19,16 ქულა.

იტალიის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა ტანმოვარჯიშეების გამოსვლებს. გაზეთი „კორიერე დელო სპორტი“, რომელიც რომში გამოდის, წერს: „რუსეთის ტანვარჯიში წარმოდგენილია ჩინებულად გაწვრთნილი სპორტსმენებით, რომლებიც არასოდეს არ კარგავენ კონტროლს თავიანთი თავისადმი. მათი საუკეთესო წარმომადგენელი ჩუკარინი ნამდვილ სასწაულებს ახდენს“.

ტურინის გაზეთი „ტუტო სპორტი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა გუნდმა ცხადყო თავისი უპირატესობა. „ეს არის არა მარტო უპირატესობა, არამედ ტრიუმფი გუნდისა, რომელიც წარმოდგენილია შესანიშნავი სპორტსმენებით“.

სხვა გაზეთებიც ხაზგასმით აღნიშნავენ საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობას.

* * *

სურათებზე: ზედა რიგში მსოფლიოს ახსოლუტური ჩემპიონები — გ. რუდკო, ვ. ჩუკარინი და ვ. მურატოვი; ქვედა რიგში მსოფლიოს ჩემპიონები — თ. მანინა, გ. შაგინიანი და ა. აზარიანი.

მაღალი ჯილდო ტრამვაი-ტროლეიბუსის მუშაკებს

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წელს პირველ კვარტალში მოპოვებული მაჩვენებლების მიხედვით გამარჯვებული გამოვიდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივი, რომელსაც მეინჯა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ამ დღეებში ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივს საზეიმო ვითარებაში გადაეცა გარდამავალი დროშა და პრემია.

ტრამვაი-ტროლეიბუსის მუშაკებს სიტყვით მიმართა და გარდამავალი წითელი დროშა გადასცა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრმა ამხ. კ. ბარიგიანმა. სიტყვები წარმოთქვეს ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს უფროსმა ამხ. გ. მშვიდობაძემ, მოწინავე ტრამვაელებმა ვ. სუხიშვილმა, ვ. ბანძავამ, ე. გურეშიძემ, ვ. ბოჩკომ და სხვებმა.

ტრამვაი-ტროლეიბუსის მუშაკებმა პირობა დადეს, რომ კიდევ უფრო გააუმჯობესებენ მუშაობას.

ახალი მშენებლობანი

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს საბურთალოზე გამოეყო ორი ნაკვეთი სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისა და პროფესორ-მასწავლებელთა 35-ბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის. თბილისის ლითონის კონსტრუქციების ქარხნის დირექცია იწყებს თავისი წარმოების მუშა-მოსამსახურეთათვის ახალი, სამართლიანი სახლის მშენებლობას.

საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვება უცხოეთში

სტოკჰოლმი, 2 ივლისი. (საკდესი). გუშინ ქალაქ მალმეში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდსა და ქალაქ მალმეს ფეხბურთელთა კავშირის გუნდს შორის. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0.

* * *

ჰელსინკი, 1 ივლისი. (საკდესი). გუშინ ქალაქ ტამპერეში გაიმართა ოკრიბეთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის, ირანისა და ფინეთის სპორტსმენებმა. ამ შეჯიბრების მონაწილე საბჭოთა მოკრივეებმა სტოლნიკოვმა, მირონოვმა, შატკოვმა და ვორობიოვმა დაამარცხეს თავიანთი მოწინააღმდეგენი.

სსრ კავშირის პირველობაზე

ლენინგრადი. 2 ივლისი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა მორიგი მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ ლენინგრადის „ზენიტისა“ და მინსკის „სპარტაკის“ გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით 2:0.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ზალვა გრიგოლის-ძე მაისურაძის გარდაცვალებას.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

სეზონის დახურვა
3 ივლისს
ბ. ჩაიკოვსკი — ევგენი ონეგინი
(დ. გამრეკელისა და ნ. თვალავაძის მონაწილეობით)
4 ივლისს
დღის 12 საათზე
რ. გლიერი — წითელი ყაყაჩო
საღამოს
პეტრე ამირანაშვილის შემოქმედებითი საღამო მისი არტისტული მოღვაწეობის XXV წლისთავის აღსანიშნავად
შესავალი სიტყვა **ბ. ხუჭუასი**
(27 ივნისისათვის აღებული ბილეთები ვარგისია 4 ივლისს)

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში
„ა“ კლასი
3 ივლისს
ლენინგრადი (შრომითი რეზერვები) — **თბილისი** (დინამო)
6 ივლისს
გორკი (ტორპედო) — **თბილისი** (დინამო)
დასაწყისი 18 ს. 30 წ.
ბილეთების წინასწარი გაყიდვა იწარმოებს „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.

«კინოპროკატის» საქართველოს რესპუბლიკური კანტორა

ამ დღეებში
თბილისის კინოთეატრებისა და კლუბების ეკრანებზე ნაჩვენები იქნება
ახალი უნგრული მხატვრული ფილმი

სცენარი ბ. პალტაისა, ა. შანდორისა და გ. ტურზოსი, რეჟისორი მარტონ კელეტი, ოპერატორი დ. ილეში, მხატვრები მ. ვარგა, დ. ლაზარი, კომპოზიტორი ი. ვინცე, ხმის ოპერატორი ტ. რაიკი.
უნგრეთის სახელმწიფო კინოსტუდიის 1953 წლის ნაწარმოები.

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს თბილისის მეტალურგიული ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1954-55 სასწავლო წლისთვის მეტალურგიული განყოფილების I კურსზე შემდეგ სპეციალობებზე: ფოლადის მეტალურგია, გლინვა; სამთო განყოფილების I და III კურსზე შემდეგ სპეციალობებზე: სამთო ელექტრომექანიკა, მადნეულთა და ქვაშრობთა ბუდობების დამუშავება.

სწავლა იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე, სწავლის ხანგრძლივობა ყველა სპეციალობის პირველი კურსისათვის 4 წელია, ხოლო მესამე კურსისათვის სწავლის შემოკლებული ვადით 2 წელი და 4 თვე.

I კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი. I კურსზე შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), 2. რუსულ ენაში (ქართული ჯგუფებისათვის წერა, ზეპირი), 3. მათემატიკაში (არითმეტიკა, ალგებრა და გეომეტრია — წერა, ზეპირი), 4. სსრ კავშირის კონსტიტუცია (ზეპირი).

სამთო სპეციალობის მე-3 კურსზე მიიღებიან სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი. მესამე კურსზე შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს სრული საშუალო სკოლის პროგრამით შემდეგ საგნებში: 1. მშობლიურ ენაში (წერა, ზეპირი), 2. რუსულ ენაში, 3. მათემატიკაში (წერა, ზეპირი).

სწავლის ფრიადოსნები ოქროს და ვერცხლის მედალოსნები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ. განცხადებები მიიღება ა. წ. 31 ივლისამდე.

პირველ კურსზე გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოდან, ხოლო მესამე კურსზე 16 აგვისტოდან. ტექნიკუმის მოსწავლენი სასწავლო წლის დასაწყისიდან იღებენ სტიპენდიას 285-390 მან. რაოდენობით თვეში, ფრიადოსნები მიიღებენ 25%-ით გადიდებულ სტიპენდიას. განცხადებას უნდა დაერთოს: 1. ატესტატი ან მოწმობა არასრული ან სრული საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), 2. ნოტარიუსის მიერ შემოწმებული დაბადების მოწმობის ასლი, 3. ავტობიოგრაფია, 4. ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 6. ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ, 7. ოთხი ფოტოსურათი ზომით 3×4 პირადი ხელმოწერით.

განცხადებები საბუთებთან ერთად მიიღება მიმღები კომისიის მიერ შემდეგი მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. № 67.

ქ. თბილისის ვაჟთა მე-17 საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და თანამშრომლები იუწყებიან **დიმიტრი მიხეილის-ძე კალაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე მარო, შვილები თინა, ნორა, კარლო, დავით, სიძე ჟორა, შვილიშვილი ბადრი გოგუაძეები იუწყებიან **თედორე სიმონის-ძე ბალავაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-VII ქვეტირში (წულუკიძის რ.).

ძმისწულები ნინო, მარო, რძალი საშა კვირიკაშვილები იუწყებიან **ვასილ თომას-ძე კვირიკაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-VII სოფ. ვაქირში (სიღნაღის რ.).

საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თანამშრომლები იუწყებიან **ნოე ალექსანდრეს-ძე აბაშმაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ეროზეფინა, შვილი გერმანე, რძალი ეკატერინე, შვილიშვილები თინათინ, გურამ იუწყებიან **ბათლომე ბიჭიას-ძე სიხარულიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-VII ნაბეღლავში (ჩოხატაურის რ.).

მეუღლე სოფიო შვილებით, რძლებით, სიძეთი და შვილიშვილებით იუწყება **მუშელი მელიქის-ძე მელქუს** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3-VII, 8 ს. გამოსვენება 4-VII, 4 ს. ლოტკის ქ. № 23.

მეუღლე გიორგი, შვილი კარლო, რძალი ლამარა, შვილიშვილი ნანი, დები სონა, ანა, ქეთო შვილებით იუწყებიან **ელენე ზაქარიას ასულ ჯაფარიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3-VII, 8 ს. გამოსვენება 4-VII, 3 ს. ორჯონიკიძის ქ. № 21.

მეუღლე აგრაფინა, შვილები სევერიანე, ვლადიმერ, არიადნა, შურა, რძლები არიადნა, ოლია, სიძეები გოგი იოსელიანი, გოგი აფრიდონიძე შვილებით იუწყებიან **ბესარიონ პახომის-ძე ჯაჯიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3-VII, 8 ს. გამოსვენება 4-VII, 2 ს. გრიბოედოვის ქ. № 18.

თბილპურეაპრობის ცენტრალური აპარატის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **მატრონა ალექსანდრეს ასულ კილურაძე-გორგოშიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-VII, 6 ს. ქ. მახარაძეში.

ბრძა შოთა, მამიდა მარგარიტა, მამიდაშვილები გიზო, ბეატრისა, იუზა, ნათელა ვასაძეები, სიძე გუგული დანელია; გურამ, ოთარ ვასაძეები იუწყებიან **გულიკო ჭიჭიოს ასულ თევდორაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-VII ქუთაისში. გამოსვენება